# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 20 ოქტომბერი, 2010 წელი.

№195 (6561)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## თუ რუსთველსაც საშენოდ „მოთარგმნი“...



3

ედემიკა ბენდუქიძისა და კუდიდან დაწყებული და უკუღმა წასული საქმის ამბავი



ოპორტუნისტები 2

## ნუ გააბრაზებთ მაყურებელს!

## ქართული ბაყაყის ექსპორტის იდეა „ჩაიფუშა“ 6

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბაკურ კვეზერელის მიერ ევროკავშირის ქვეყნებში ბაყაყების შესაძლო ექსპორტის შესახებ გაკეთებული განცხადება განცხადებად რჩება. „მინისტრი კი ბაყაყებზე კომენტარს არასდროს არ გააკეთებს“.



## ფეხბურთი... უბურთოდ,



ანუ, მინაშვილო, შინიდან მოდიხარ ასე იაფი? 3

## ჭაობიანი დაბლობების დაუფიძრებელმა დაუროგაე არც ერთ ქვეყანას სიკეთე არ მოუტანა 6

ფლორა და ფაუნა 4 უმოწყალოდ ნადგურდება, რეაგირებას კი არავინ ახდენს

როცა მანქანები ტროტუარებსაც „იპყრობენ“... 6

## მესაზღვრეები არასადავო 8 სოფლიდან გავიდნენ



რატომ შეიჯავრეს „პარტებმა“ ფერადი ფანქრები? 7

ოპორტუნისტები

# ნუ გააბრაზებთ მაყურებელს!

## იმათ ენდოზით და მე არა?

**„ზოგი მათგანი ორჭოფობს. ძედს იხრის მოწინააღმდეგის წინაშე. ერთნი იმიტომ, რომ მორალურად გატყდნენ. მეორენი ლაბირინთიდან გამოსასვლელს დამოუკიდებლად ვერ პოულობენ. მესამენი მატერიალურ რეპრესიებს ვერ უძლებენ“.**

**ძალიან გთხოვთ არ იფიქროთ, რომ სათაური, წერილის დასაწყისში მოყვანილ ციტატასთან ერთად, რომელიმე ე.წ. „ცნობადი პოლიტიკური ექსპერტის“ იმ ინტერვიუდან ამოვილე, სადაც ის სამთავრობო არხებთან, ან ლიბერალურ გაზეთებთან დღევანდელ ქართულ ოპოზიციაზე საუბრობდა.**

არავითარ შემთხვევაში! სად შეუძლიათ იმ ჩვენს ე.წ. „ექსპერტებს“ ასე გამართულად აზრის ჩამოყალიბება.

ბევრს არ გაწვალებთ და მარტივად გეტყვით, რომ სიტყვა „ოპორტუნისტი“, ლენინის განმარტებით, „რევოლუციისთვის არცთუ ისე კარგ კაცს“ ნიშნავს, ხოლო წერილის დასაწყისში მოყვანილი ფრაზა ლევ ტროცკიმ ამ რაღაც ოთხმოციოდე წლის წინათ დაწერა.

არადა როგორ ჰგავს 2003 წლის ე.წ. რევოლუციის შემდგომი პერიოდი 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდგომ პერიოდს (1793 წლის საფრანგეთზე აღარაფერს ვამბობ).

იქ ესერები, მენშევიკები და ტროცკისტები სხვადასხვა სახის უკლონისტებსა და პრომპარტიელებთან ერთად (1793-ში ტერმიდორელები, რობერსპიერისტები, მარატისტები და ჟირონდელებიძ, აქ კიდევ „რესპუბლიკელები“ და გაჩეჩილაძეს, გამყრელიძეს (მოკლედ, რომ ვთქვა, მთელ ქართულ ოპოზიციურ სპექტრსძ ტროცკის, კამენევს, ზინოვიევს, ბუხარინს და, ასე ვთქვათ, „ჭეშმარიტი ბოლშევიკური გზიდან გადაცდენილ“ ხალხსო.

კითხვაზე კითხვით გიპასუხებთ.

მოდით და თქვენს თავს ჰკითხეთ, თუ რატომ გახდნენ ან ბურჯანაძე და ან ოქრუაშვილი ოპოზიციონერები. მოდით და ჩუმად, ჩურჩულით იკითხეთ, რატომ უგანეს („რუსთავი 2“-ის არქივში აუცილებლად იქნება შენახული ლევან გაჩეჩილაძესა და გია ბარამიძეს შორის პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის სხდომაზე მომხდარი პოლემიკის კადრებიძ. იკითხეთ, თუ საიდან გაჩნდა ყოვლად უცნობი ფიგურა ზვიად ძიძიგური 2003 წელს ნაციონალური მოძრაობის მიერ გამართული მიტინგის ტრიბუნაზე.

ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ ვიტყვი, რომ მათ ძალაუფლების წყურვილი აერთიანებთ.

პირადი ძალაუფლების.



არადა, როგორ შეეფერება ეს „ბებერი“ გამონათქვამები ქართულ დღევანდელობას?

ეჰ, რა იცოდნენ ან ლენინმა, ან ტროცკიმ, რომ 21-ე საუკუნის ქართული ოპოზიცია მათ მიერ უკვე დახასიათებული, გაკრიტიკებული და თეორიულად მიწასთან გასწორებული იყო. ჰო, რაც შეეხება მიწასთან გასწორების პრაქტიკულ ქმედებას, ეს ოდნავ მოგვიანებით უკვე სტალინმა განახორციელა.

კარგით, ამ ინტელექტუალურ „ნიაღვარს“ თავი დავანებოთ და ჩვენს პატარა საქართველოში არსებულ სიტუაციას დავუბრუნდეთ.

„ხალხის პარტია“, სხვადასხვა სახის „ერთიან“, „დემოკრატიულ“, „ეროვნულ“, თუ „ქრისტიანულ“ პოლიტიკურ მოძრაობებთან ერთად (ღმერთო, შენ უშველე საქართველოს!ძ.

ახლა უცებ კამბოჯიის მოქალაქე რომ გავხდე, რამდენს ვიცინებდი (კამბოჯა იმიტომ ვთქვი, რომ რეალური ოცნებები მაქვს. აბა. ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეობას ვინ მაღირსებსძ. არადა, მართლა სასაცილოა დღევანდელი ქართული პოლიტიკა, სატირალი რომ არ იყოს.

არ მითხრათ, როგორ ადარებ ბურჯანაძეს, ოქრუაშვილს, ხიდაშელს, დავითაშვილს, ძიძიგურს, ნაციონალურ მოძრაობას 2004 წლის მარტის არჩევნებში სიის პირველმა ნომერმა კოზა დავითაშვილმა და მთელმა რესპუბლიკურმა პარტიამ; სცადეთ და გაიხსენეთ, თუ რამდენი ფული გაქვთ თქვენ და თქვენს ახლობლებს საზღვარგარეთის პასპორტის აღებასა თუ ავტომობილის „ტეხასმოტრში“ სადაზღვევო კომპანია „ალდაგისთვის“ გადახდილი. გაიხსენეთ, თუ ვინ იყო „ის გმირი“, რომელმაც, გია ბარამიძის თქმით, ხუთი მილიონი მიიღო მოქალაქეთა კავშირის დახმარებით საკუთარი ბიზნესის დასაწყებად და როგორ ხელმძღვანელობდა ის „გმირი“ მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბს არავინ მითხრას, „იდეური“ დაპირისპირება მოუვიდათ ყოფილ თანაგუნდელებთანო.

კარგით რა, რომელი იდეა და რა მსოფლმხედველობა! ხიდაშელს და ბოკერიას რომ ერთნაირი შეხედულებები აქვთ, პირველად გესმით?

მოკლედ რომ ვთქვა, ყველა თავის „თამაშს“ „თამაშობს“.

ცხადია, რომ ბურჯანაძე, ოქრუაშვილი, გამყრელიძე და სანიკიძე უფრო „მაღალ ლიგაში“ „თამაშის“ ამბიციას ამჟღავნებენ, ვიდრე ძიძიგური ან დავითაშვილი, მაგრამ საბოლოო ჯამში მათი „ბრძოლა“, მხოლოდ „თამაშის“ დონეზე რჩება.

ჰო, მართლა, რა მინდა გკითხოთ.

— ამ ჩვენს ოპოზიციას ენდობით?

ვინც ენდობა, იმათთან ერთი თხოვნა მექნება: — ასი ლარი მასესხეთ რა!

რატომ მეუბნებით უარს? იმათ ენდობით და მე არა?

ამ პოლიტიკურ-ლიტერატურულ „რევერანსებს“ თავს დავანებებ და პირდაპირ ვიტყვი: — რა მოხდება, რომ თითოეულმა ე.წ. „ლიდერმა“ სახელმწიფოსგან მიღებული თანხიდან საარსებო მინიმუმი დაიტოვოს და დანარჩენით საკუთარი პარტიის „ბალანსზე“ აიყვანოს რამდენიმე პენსიონერი, ან მიუსაფარი ბავშვი?

უსინდისო ვიყო, თუ იმ პარტიას ხმა არ მივცე (რამდენკაციანიც არ უნდა იყოსძ. ახლა არ მითხრათ, რომ იმ თანხებს პოლიტიკური ბრძოლისთვის ხარჯავენო.

კარგით რა!

ყველამ ხომ ვიცით, რომ ეს ე.წ. პოლიტიკური პარტიები ბიუჯეტიდან (ანუ ჩვენს მიერ გადახდილი თანხებიდანძ საკმაოდ მსუყედ ფინანსდებიან. ხომ ვიცით, რომ მათ, რეალურად არც ერთი ჩვენი პრობლემის გადაჭრა არ შეუძლიათ. ხომ ვიცით, რომ ისინი იმ თანხებიდან ორიოდ უსაქმურ გოგონას 200-200 ლარს აძლევენ, იმიტომ რომ „კერია“, ანუ ოფისი არ გააცივონ და არანაირ პარტიულ მუშაობას არ ეწევიან?

ასი ლარი მასესხეთ რა, ხომ არ გეუბნებით მაჩუქეთო, მასესხეთ!

არა ხომ? კარგით.

რადგანაც ას ლარს არ მენდობით და იმათ კიდევ ქვეყანა უნდა ანდოთ, მაშინ ამ წერილს დავამთავრებ და ამ ოპორტუნისტებს მივმართავ:

— როცა ფეხბურთის თამაშის დროს ხუთჯერ ცარიელ კარში გოლს ვერ გაიტან, როცა ათჯერ საგოლე მომენტს გააფუჭებ, თანაგუნდელს პასს არ აძლევ და მარტოც ვერ „მატაობ“, დაანებე თამაშს თავი.

დაანებე, დაჯექი ტრიბუნაზე და სხვებს აცალე.

აცალე, თორემ შეიძლება მაყურებელმა იფიქროს, ამას „გაუყიდია თამაშიო“, გაბრაზდეს, მოედანზე გადმოვიდეს და მერე ვერც მსაჯი გიშველის და ვერც მატჩის კომისარი.

**გია გაბრიჭიძე**

პრესკონფერენცია

# რატომ გამორიცხავს დავით გამყრელიძე ქუჩის აქციებს?

## არის თუ არა „ახალი მემარჯვენეები“ ხელისუფლების ორბიტაზე მორბენალი პარტია?

**გუშინ, კავკასიის ინტერნეტ მედიაკლუბში ჟურნალისტების წინაშე „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე წარსდგა. მან კარგად ნაცნობ „საარჩევნო გარემოს“ გაუმჯობესებაზე ისაუბრა, თუმცა ახალი არაფერი უთქვამს, და კვირის აქტუალური თემა კიდევ ერთხელ შეგვახსენა.**

**თუ ხელისუფლება არ წამოვა პარტიის მოთხოვნაზე შეიცვალოს საარჩევნო გარემო, რას აპირებს „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი? როგორ სვლას განაგრძობს? — ამაზე დავით გამყრელიძემ უპასუხა:**

— ახლა ამ თემაზე ყველა საუბრობს: საერთაშორისო ორგანიზაციები, დიპლომატიური კორპუსი, ქართული საზოგადოება... ჩვენ არ ვართ ვინმესთან ბლოკში, თუმცა ქვეყნის მომავლის უკეთესობისკენ შეცვლის მიზნით მოვახერხეთ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან სამთვიანი თანამშრომლობა და ერთი შეხედულების გარშემო გაერთიანება.

მზად ვართ, უფრო მეტი გავაკეთოთ, ოღონდ მთავარია ხელისუფლების თანხმობა ჩვენს მოთხოვნაზე. ამ ეტაპზე ველოდებით პასუხს ხელისუფლებისგან, ჩვენი უმთავრესი მიზანია თავისუფალი საარჩევნო გარემოს შექმნა.

ამ არჩევნებმა სათავეში ამჟამინდელი ხელისუფლების შეცვლა უნდა მოახერხოს. საზოგადოებას აღარ სჯერა ამისი, თუმცა ეს რეალურია. ჩვენ ვხვდებით მოსახლეობას და ვაცნობთ არგუმენტირებულ გეგმას, რომლითაც მოქმედების შემთხვევაში, არჩევნები აღარ გაყალბდება.

ამ ეტაპზე, ჩემი „ფორუმელი“ მეგობრებისგან განსხვავებით, ქუჩის აქციებს გამოვრიცხავ. წინასწარი განცხადებებისგან თავს შევიკავებ.

**— თქვენ გსურთ „საარჩევნო კოდექსის“ შეცვლა, კერძოდ, რომელ პუნქტზე აკეთებთ აქცენტს?**

— საერთო ჯამში, მთლიანი საარჩევნო სისტემა შესაცვლელია, საერთაშორისო დამკვირვებლები გამუდმებით უკმაყოფილებას გამოხატავენ, და ყველა ერთხმად აცხადებს, რომ საარჩევნო გარემო დასახვეწია.

დიდი პრობლემაა საარჩევნო სიები... მასში გამუდმებით არი-



ან მიცვალებულები, საზღვარგარეთ მყოფნი. ან ერთი და იგივე ადამიანი სამ საარჩევნო უბანზეა დარეგისტრირებული და ასე შემდეგ. ხშირად ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერი ამომრჩეველი სიიდან ქრება. მოთხოვნის შემთხვევაში კი, რაღაცა მიზეზების გამო, მას სიაში აღარ სვამენ.

ამის თაობაზე ჩამოვაყალიბეთ ხედვა, და აქტიურ კონსულტაციებს ვმართავთ ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ჩვენს კოლეგებთან და, სხვათა შორის, შეხვედრას ვაპირებთ საარჩევნო კომისიასთანაც.

დიდი იმედი მაქვს, რომ ძვრები მოხდება ჩვენს სასარგებლოდ... „ახალი კოდექსის“ თანახმად ჩვენ გადავდივართ სუპერსაპრემიერო ფორმატზე, სადაც პრემიერს იურიდიულად და სამართლებრივად აქვს საკმაოზე მეტი უფლებები, ვიდრე პრეზიდენტს. ეს უარყოფითად იმოქმედებს ჩვენი მმართველობის ფორმაზე...

ალბათ, ხშირად გსმენიათ, რომ „ახალი მემარჯვენეები“ ხელისუფლების ორბიტაზე მორბენალი პარტიაა და სხვა ოპოზიციური პარტიების მსგავსად ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. გუშინდელ შეხვედრაზე კი გამყრელიძე სიამაყით გვახსენებდა, რომ „ახალ მემარჯვენეებს“ არ ეშინიათ რადიკალური ნაბიჯების გადადგმის, და თუ საჭირო გახდება, შიმშილობის დაწყებასაც არ მოერიდებიან.

„ჩვენ არ დავკარგავთ დროს იმაზე ფიქრით, რა პასუხი გავცეთ იმ განცხადებებს, რომელშიც ჩვენი და ხელისუფლების ფარულ კონტაქტებზეა საუბრობენ. ამას სჯობს, ენერგია მოვახმაროთ გარკვეული კეთილი საქმეების კეთებას. თუ ვინმე იმით არის უკმაყოფილო, რომ აქციების კატეგორიული წინააღმდეგი ვართ, ამაზე ლოგიკური პასუხი გვაქვს: აქციების დაწყებას მაშინ აქვს აზრი, თუ იგი ამ ხელისუფლების მმართველობის დასასრული გახდება. სხვა შემთხვევაში უფრო ხალხის მოტყუება გამოგვივა, ჩვენთვის, პოლიტიკური პარტიებისთვის, ძალიან წამგებიანი იქნება. ჩვენი მთავარი მიზანია, შევასრულოთ ის, რაც ჩვენს ამომრჩეველს შევპირდით.

საკითხავია, რამდენად აუსრულებენ „ახალი მემარჯვენეები“ ამომრჩევლებს დანაპირებს, თუმცა ბატონ დავითს ნამდვილად ვეთანხმები იმაში, რომ ხალხის ნერვებზე თამაში ხშირად წარუმატებლად მთავრდება, ამის მაგალითები მრავლად მოიპოვება პოლიტიკური პარტიების ისტორიაში. მას იმაშიც ვეთანხმებით, რომ აქციების დაწყებას მაშინ აქვს აზრი, თუ ის ხელისუფლების მმართველობის დასასრული გახდება, სხვა შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები თავად იკეთებენ შავ პიარს და ხალხის თვალში ლაფში სვრიან საკუთარ გეგმებსა და მიზნებსაც, თუ, რასაკვირველია, ეს მიზნები აქვთ...

**თინათინ ბორცვაძე**

ვაი ჩვენს პატრონს, თქვენს ხელში!..

# თუ რუსთველსაც საშენოდ „მოთარგმნი“...

## ედემიკა ბენდუქიძისა და კუდიდან დაწყებული და უკუღმა წასული საქმის ამბავი

*სათაურში რუსთველის იმ ცნობილ აფორიზმს ვგულისხმობ, — რასაცა გასცემ შენია, რას არა — დაკარგულიაო, რომ გვიქადაგებს. ქვესათაურში ნახსენები ედემიკა კი ის გამწარებული გურული გლეხია, დაჭრილი სოსოიას რუსის მოსარჩენად ბეჟანა ლამის ყოველდღე თხას რომ გამოულექავდა ხოლმე.*

*ხომ გახსოვთ, როგორ ჩიოდა კრებაზე უხერხულობაში ჩავარდნილი ედემიკა, — არ ვიცი, საიდან დავიწყოო.*

*ისიც გეხსომებათ, როგორ შეუძახეს ამის გამო დარბაზიდან ენაკვიმატმა გურულებმა, — კუდიდან დაიწყე, კუდიდანო!*

სწორედ იმ საწყალმა ედემიკამ გამახსენა ქართული ეკონომიკის მამა კახა ბენდუქიძე.

**დიახ, სწორედ ასე — მამა, ყოველგვარი ირონიისა და, შესაბამისად, ბრჭყალების გარეშე, რადგან მან, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, დედა „გაუიმასქნა“ ჩვენს ეკონომიკას და დღევანდელობას.**

იმ გლეხუჭა ედემიკასგან განსხვავებით, ბენდუქიძემ ზუსტად იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა და საიდანაც დაეწყო ეს კეთება: — **ყველაფერი უნდა გავყიდოთ სინდის-ნამუსის გარდაო,** — ჩამოსვლისთანავე თქვა.

ამიტომაც ჯიქურ მიადგა საქმეს. ერთი კია, არ ვიცი, ვინმემ ურჩია თუ თავად გადაწყვიტა ასე, მაგრამ ფაქტია — **კუდიდან, ანუ უკნიდან — ხსენებული სინდის-ნამუსიდან დაიწყო და, რაკი იგი, ეს სინდის-ნამუსი, სიმცირის გამო, უცებ „გაასუხარა“, სახელმწიფოს ქონებას მიადგა.**

ისე ნურვინ გამიგებს, თითქოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების წინააღმდეგი და ისეთი უმეცარი ვიყო, უცხოური ინვესტიციების შემოდინების მნიშვნელობა არ ვიცოდე.

**პირიქით, რაც უფრო მეტი გაჩერებული საწარმო ამოქმედდება ჩვენთან უცხოელ ინვესტორთა ფულით, თუ მათივე ინვესტიციით ჩვენთან აშენებულ ახალ ფაბრიკა-ქარხნებში დასაქმდება უმუშევრობა-უშემოსავლობით გატანჯული ჩვენი მოსახლეობა, მით უკეთ წავა სახელმწიფო ბიუჯეტისა და ხალხის საქმე.**

მაგრამ ჩემი საწუხარი ის არის, რომ ჩვენთან განუკითხავად ყველაფერს ყიდიან. ბატონი კახა ბენდუქიძისთვის სიტყვები „სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი“ რომ არ არსებობდა და არ არსებობს, ყველამ ვიცით.

არადა, ეს სიტყვები კონსტიტუციაშიც კი ეწერა. **ჰოდა, როგორც ჩანს, ამიტომაც ცვლის ჩვენი ხელისუფლება კონსტიტუციას, და არა იმისთვის, რომ როგორც ცალკეული ინტრიგნები მიიჩნევენ, სააკაშვილი, რომელსაც კონსტიტუციის თანახმად არა აქვს ქვეყნის პირველ პირად არჩევისთვის კენჭის ყრის უფლება, ახლა პრემიერ-მინისტრის რანგში მოუვლინონ ქვეყანას ფაქტობრივ უზენაეს ხელძღვანელად.**

თუმცა, ძალაუნებურად სულ სხვა საკითხზე „გადავხტით“. ამიტომ ზოგადიდან კონკრეტულს, ანუ ამ წერილის დაწერის მიზეზს უნდა დავუბრუნდე:

ამ ექვსი წლის წინათ ჩვენი გაზეთი წერდა, რომ არ შეიძლება ქართული მიწის გაყიდვა — სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა იქნებოდა იგი თუ არასასოფლო-სამეურნეოსი.

**ანუ ქართულ მიწაზე, თუნდაც 20, 49 თუ 99-წლიანი იჯარით აღებულზე, ნებისმიერი სამრეწველო ან სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობა-ამოქმედების ორივე ხელით მომხრე ვიყავით, მაგრამ ამ ქართული მიწის გაყიდვისა, არა!**

**ვწერდით, რომ თავის დროზე, გასული საუკუნის ათიანი წლების მიწურულს, ოქტომბრის რევოლუციამ და საქართველოს გასაბჭოებამ გვიხსნა — გასხვისებული ლამის ნახევარი საქართველო დაგვიბრუნდა ქონების ნაციონალიზაციის გზით, მაგრამ აწი ამის იმედი არ უნდა გვქონდეს!**



**ამიტომაც უნდა გავუფრთხილდეთ ქართულ მიწას და დავიცვათ იგი!**

**როდესაც ამ ხასიათის მასალები გამოვაქვეყნეთ, ქართული ეკონომიკის მამამ ბენდუქიძემ „საქართველოს რესპუბლიკას“ თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ფაშისტური გამოცემა უწოდა!**

**მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: თუ ქართული მიწის და ჭეშმარიტი ქართული ინტერესების დაცვა ფაშიზმია, მე ფაშისტი ვარ! არ მრცხვენია ამის აღიარებისა!**

თუმცა ახლა — მთავარი მიზეზი, რამაც ეს წერილი დამაწერინა: ამონარიდი სერგეი ბაღაფშის ინტერვიუდან, რომელიც მან ახლახან რუსეთულ „კომერსანტს“ მისცა:

**...„რაც შეეხება მიწას,** — უპასუხებს იგი კორესპონდენტის შეკითხვას, — **დიახ, ჩვენ მიწას არ ვყიდით და არც გავყიდით. აფხაზეთი მცირემიწიანია და ეს ისეთი საკითხია, რომელმაც შეიძლება განხეთქილება გამოიწვიოს საზოგადოებაში. მაგრამ მიწა შეიძლება აიღო იჯარით. 20, 30 ან 49 წლით. და აქ არავითარი პრობლემა არ არის“...**

ჩვენთანაც რომ ასე იყოს, ბატონო ედემიკა ბენდუქიძე, არც მე და არც დანარჩენ ქართველობას არ გვექნებოდა არანაირი პრობლემა.

პირიქით, ამნაირად განხორციელებულ პრივატიზებას, როგორც ზემოთ ვთქვი, ორივე ხელით მივესალმებოდით, მაგრამ რომ ყიდით?

**თუ რაო, საქართველოს ძალიან ბევრი მიწა აქვს და, ამდენად, რაკი მცირემიწიანი არ არის (ისემც რა გითხარით!), მიწის გაყიდვა შეიძლება?**

**ისემც დაგიმშვენდეს ის ლამაზი ტანი და ცხვირი, ედემიკა ბენდუქიძევ!**

**მის მიმდევრებსა და მხარდამჭერებსაც, ცხადია!**

**რუსლან რუსია**

ბანი
ილაპარაკეთ
ბანიდან ბანზე
წუთში
2
თეთრად
100 ლარამდე
ლიმიტიანი ნომრები
10 ლარად!
თუ გსურთ ტარიფის შეცვლა, ბანიდან
დარეკეთ ნომერზე 1010,
მოუსმინეთ ავტომოპასუხეს და მიჰყევით ინსტრუქციას.
ტარიფის შეცვლის საფასური 1 ლარი.
ინფორმაციისთვის დარეკეთ:
5151 - ბანიდან, 851 51 51 51 - ნებისმიერი სხვა ქსელიდან
www.bani.ge

გულის ბუხარი

# ფეხბურთი... უბურთოდ,

## ანუ, მინაშვილო, შინიდან მოდიხარ ასე იაფი?

*ფეხბურთში, მოგეხსენებათ, ერთ ბურთს 22 კაცი დასდევს და ამას ათასობით ადამიანი ადევნებს თვალს სტადიონის ტრიბუნიდან, ტელევიზიის წყალობით კი — მილიონობით მაყურებელი მსოფლიოს ყველა კუთხეში. ანუ იმ „სისულელეს“, რომელსაც ფეხბურთი ჰქვია, ბურთით თამაშობენ.*

*მაგრამ აქვე არსებობს ფეხბურთი... უბურთოდ. ეს ის თამაშია, რომელსაც კულუარებში თამაშობენ ფიფა-უეფას ჩინოვნიკები.*

*დიახ არ შემშლია და არც კორექტორს შეშლია: ფეხბურთს კი არა, ფეხბურთით თამაშობენ! ხოლო მათ შორის, ანუ ფეხბურთის თამაშსა და ფეხბურთით თამაშს შორის, დიდი განსხვავებაა, ანუ რუსთაველის ცნობილ ფრაზას თუ გამოვიყენებთ, მათ „შუა უზის დიდი მზღვარი“.*

ეს „მზღვარი“ კი, როგორც წესი, დიდ ფინანსებზე, ჩვენებურად, თბილისურად თუ ვიტყვით, დიდ მაყუთზე გადის. ჰოდა, ბურთაობენ უბურთოდ ფიფა-უეფას კაბინეტებში, ორგანიზაციისა, რომელიც ცნობილია თავისი კონსერვატიზმით, გაუმჭვირვალობით და, აქედან გამომდინარე, დიდი კორუფციითაც.

ჩაწყობილი თამაშებით დაწყებული, მაგალითად, როცა პრაქტიკულად მსოფლიოს ნაკრები „ბარსელონა“ ვიღაცა „ჰერკულესთან“ აგებს საკუთარ კამპანოუზე და, ტოტალიზატორში მოთამაშეთა ენაზე თუ ვიტყვით, „დიდ კუშს ამოაგდებს, და ისეთი რამეებით დამთავრებული, რაც ზედაპირზე არ დევს, ანუ ნაკლებად ჩანს“.

მაგალითად, სად და როდის უნდა გაიმართოს ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატები, ვინ უნდა გახდეს რომელიმე ქვეყნის ლიგის ჩემპიონი, ვინ უნდა „გავარდეს“ და ა. შ.

ეს ყველა ქვეყანაში ასეა, რა თქმა უნდა, მეტნაკლები დოზით. არც საქართველოა გამონაკლისი. ამ წერილში სწორედ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იმ ერთ „უწყინარ“ გადაწყვეტილებაზე მინდა ვისაუბრო, მატჩებზე დასასწრები ბილეთების ფასების დაწესება რომ ჰქვია. სანაკრებო მატჩებს ვგულისხმობ, თორემ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ყურებას, როგორც იტყვიან, „სვარკის“ ყურება სჯობს და, სამწუხაროდ, ამ თამაშებს ფაქტობრივად არც ჰყავს მაყურებელი. ამიტომაც არის, რომ თურმე საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე დასწრება უფასო ყოფილა, მაგრამ რად გინდა, ფეხბურთელების ახლობელ-მეგობართა მცირერიცხოვანი ჯგუფის გარდა, ძნელად რომ ვინმეს ფეხი წაუცდეს — ქუდი რომ შეუგდო სტადიონზე, გამოსატანად არ შევაო, ისეა საქმე.

ლატვია-საქართველოს მატჩის წინა ღამეს, შემთხვევით შევესწარი I არხზე გადაცემა „არენის“ იმ ნაწილს, სადაც გადაცემის წამყვანი დავით მინაშვილი სტუმარს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკს, მოქმედს თუ ყოფილს, არ ვიცი, მამუკა კვარაცხელიას ესაუბრებოდა. და სწორედ ამ უკანასკნელმა „დაახეთქა“ ის, რამაც დამაწერინა ეს წერილი.

იხ. 4 გვ.

**გულის ბუხარი**

# ფეხბურთი... უბურთოდ,

## ანუ, მინაშვილო, შინიდან მოდიხარ ასე იაფი?

(მესამე გვერდიდან)

მატჩზე წვიმის მიუხედავად, 40 ათასამდე მაყურებელი მოვიდაო. ეგ კი არა, როცა მატჩის დაწყებას წუთები აკლდა, სტადიონის შემოსასვლელთან დაახლოებით 10 ათასი კაცი იდგა, რაც იმას ნიშნავს, რომ მაყურებელი სტადიონზე ბრუნდებაო. მაგრამ ის 10 ათასი კაცი არ შემოუშვეს, რაც ასევე გამიხარდა, რადგან ქართველებმა უნდა ვისწავლოთ, რომ უბილეთოდ ვერავინ შევა სტადიონზეო.

ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსობრივად ეს ბრძანა მამუკა კვარაცხელიამ, რასაც კვერი დაუკრა დავით მინაშვილმა.

მე კი, თქვენს მონა-მორჩილს, ამის გამგონეს, რომ იტყვიან, სისხლი თავში ამივარდა და ტელეფონს ვეცი. მართალია, როდესაც მოვახერხე და პირდაპირ ეთერში ჩავერთე, ბატონი მამუკა იქ აღარ იყო და საუბარიც სხვა თემაზე მიმდინარეობდა, მაგრამ „უკანა რიცხვით" მაინც ვთქვი ჩემი სათქმელი.

**კერძოდ ვთქვი, რომ სასიხარულო კი არა სატირალია ის ფაქტი, რომ ათასობით „ბალელშიკი" ვერ დაესწრო მალტასთან რის ვაივაგლახით მოგებულ თამაშს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჯიბეში გროში არ უჭყაოდათ და მოვუწოდე მათ, ვისაც ეს ეხება, ანუ ფედერაციას, მომავალში მაინც ისეთი ფასი დაადონ ბილეთებს, სტადიონზე მისულ ადამიანებს მისი შეძენა არ გაუჭირდეთ და რაც შეიძლება მეტმა მაყურებელმა უგულშემატკივროს ჩვენს ნაკრებს.**

ეს სულაც არ არის უმნიშვნელო საქმე — მაყურებელს ხომ სავსებით სამართლიანად უწოდებენ მეთორმეტე ფეხბურთელს!

უნდა გენახათ, როგორ ააფოფრა ამის გამგონე მინაშვილი — მეტი რა ქნანო?, ბილეთები სულ რაღაც 5-7 ლარი ღირდაო, ეგ ხალხი კი, ვინც გარეთ დარჩა, სიგარეტში აძლევს 3 ლარსო და სხვა მსგავსი „არგუმენტების" გროვა დაახვავა.

ამის გამო მივმართე წერილის სათაურში ჩვენს ამ „ცნობილ კომენტატორს" (აფსუს ცხონებული ეროსი და კოტე, იმათაც კომენტატორები უნდა ერქვათ და სხვებსაცძ დიდი ვასო გოძიაშვილის ცნობილი ფრაზით მისი ბოლო სატელევიზიო სპექტაკლიდან და აქაც გავიმეორებ — **შინიდან მოდიხარ ასე იაფი, ბიჭო?**

5-7 ლარი ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ცოტაა? ამ ფულად ხომ ელემენტარულად მთელი კვირა პურს უყიდი შვილებს? ან რა, მართლა ჰგონია ამ ფეხბურთის „სპეციალისტს", რომ მათ, ვინც საღამოს უბილეთოდ ცდილობდა სტადიონზე შესვლას, ჯიბეში 3-ლარიანი მალბორო და კენტი ედოთ? ან რა, უფრო ძვირიანი — 50-ლარიანი ბილეთი არ გაყიდეს ამ ორი თუ სამი წლის წინათ, როცა თურქეთთან გვქონდა თამაში? მაშინ, როდესაც ის მატჩი რაღაცას წყვეტდა, ანუ, საზოგადოების გაზრდილი ინტერესის გამო იმ თამაშის მიმართ ოპერატიულად ასწიეს ფასები.

**შედეგად კი სტადიონი სანახევროდ არ გაივსო და თამაშიც 2:5 წავაგეთ. და ახიც იყო ჩვენზე, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დაფიქსირებული შედეგი, ფეხბურთელთა ოსტატობის ნაკლებობასთან ერთად, ფედერაციის ღორობის ბრალიც იყო და კიდევ იმისი, რომ სტადიონზე უმეტესწილად ის ხალხი მოხვდა, რომელთაც ჯიბეში ძვირფასი სიგარეტები ედოთ, და არა ნამდვილი, ფეხბურთის მცოდნე და მოყვარული ხალხი, რომელთაც, როგორც წესი, გახვრეტილ ჯიბეში აყროლებული პრიმა თუ უდევთ ხოლმე.**

იმ საღამოს მარადონას ჩამოსვლაც შევახსენე ეთერში ჩვენს კომენტატორს და მაშინ ნაჭამი სირცხვილიც, როდესაც ასევე ბილეთების სიძვირის გამო ცარიელი ტრიბუნების წინ გამოსვლაზე კატეგორიული უარი თქვა არმანდო დიეგომ და მხოლოდ ამის შემდეგ გახსნეს სტადიონის ალაყაფი და სანახევროდ ძლივს შეივსო „პაიჭაძე", რადგან იმედგადაწურული ხალხის უმრავლესობა სახლებში წავიდა.

იმავე გადაცემაში მამუკა კვარაცხელიამ გულისამაჩუყებლად ისაუბრა ხორვატი ხალხის ვაჟკაცობაზე, თუ როგორ იბრძოდნენ და მიაღწიეს დამოუკიდებლობას, რის შემდეგაც მსოფლიო ფეხბურთშიც თქვეს ხმამაღალი სიტყვა და დასძინა — ხორვატებთან, როგორც ჩვენი ჯგუფის ფავორიტებთან, თბილისში საფეხბურთო ომი მოგვიწევსო.

**დიახ, ბატონო მამუკა! მართალი ბრძანდებით, მაგრამ იქ რამდენიმე მაგრამ არსებობს, რაც თავდაყირა აყენებს მაგ სიმართლეს.**

ჯერ ერთი ის, რომ, იმ ბრძოლაში ხორვატ ხალხთან ერთად მის ხელისუფლებასაც უნდოდა გამარჯვება და არა ისე, როგორც ჩვენთან ხდებოდა და ხდება. ასე რომ, ხორვატების, როგორც ერის და ნამდვილად ვაჟკაცი ერის, მიმართ პატივისცემის მიუხედავად, ვაჟკაცობა და ბრძოლა მათგან ნამდვილად არ გვესწავლება ქართველებს — ისე, ცოტა ხნის წინათ, მაგათზე კარგი ბურთაობაც ვიცოდით.

რაც შეეხება მათ საფეხბურთო წარმატებებს, ამაშიც ერთნი იყვნენ, როგორც იტყვიან, ერიც, ბერიც და თვით ხორვატი ვარსკვლავებიც, რომლებიც არამცთუ უარს ამბობდნენ ყოველგვარ გასამრჯელოზე, არამედ საკუთარი ხარჯით ჩადიოდნენ ამა თუ იმ ქვეყანაში სათამაშოდ.

**ამ დროს, რატომღაც არა მგონია, რომ ხორვატიაში გამართული მატჩებისას მათი ფედერაცია (იგივე სახელმწიფო) „ოთუზბირ" ფასს ადებდა სტადიონზე შესასვლელ ბილეთებს. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, სისხლს სწოვდა საკუთარ „ბალელშიკებს", ისე, როგორც ჩვენ გვწოვენ, კუდის რიკამდე გვატყავებდნენ და ხვალაც გაგვატყავებენ.**

თუ არადა, ვნახოთ, ის ხვალეც მოვა. ანუ, 2011 წლის 26 მარტი, როცა შემდეგი საკვალიფიკაციო მატჩში თბილისში „კაკრაზ" ხორვატიის ნაკრებთან გველის და ვნახოთ, რა ასტრონომიული თანხაც ეღირება სტადიონზე შესვლა.

**ზუსტად იმ თანხის, ფედერაციის ღორობის შესაბამისი შედეგიც დადგება.**

და კიდევ ერთი: უნდა გვახსოვდეს, რომ ფეხბურთი ის სანახაობაა, რომელიც, უწინარესად, ნაკლებადშემოსავლიანი ხალხის (ეს ევროპაში, თორემ ჩვენთან, გამათხოვრებული ხალხისძ გასართობია და ამიტომ ფასიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

ისიც კარგად ვიცი, რომ ბილეთს, რომც მოისურვონ, მთლად უფასოს ვერ გახდიან, რადგან უეფას ქვედა ზღვარი აქვს დაწესებული, ანუ, იგი არ შეიძლება ერთ შვეიცარულ ფრანკზე ნაკლები ღირდეს, რაც დოლარის ექვივალენტზე გაცილებით ნაკლებია.



**ჰოდა, აქედან დაიწყეთ, ხოლო ბილეთების გარკვეულ რაოდენობაზე, სვეტსკი ფრონცკი ხალხისთვის, მალბორო-კენტიანობისთვის, ისემც გიქნიათ 100 ლარი, დაგიდიათ ფასი და აღმოაჩენთ, რომ თანხა იგივე შემოვა, მაყურებელთა რაოდენობა კი გაორმაგდება — სავსე სტადიონი ხომ, როგორც ამბობენ და ზემოთაც ვთქვი, მე-12 ფეხბურთელია!**

**ასე იყო მაშინ, როცა თავსხმა წვიმაში დინამო — ლივერპულის მატჩზე 100 ათასი კაცი ვიჯექით და კუდით ქვა ვასროლინეთ იმ დროისთვის არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიო გრანდს.**

**ასე რომ, ფეხბურთის და არა მარტო ფეხბურთის, ზოგადად გაუმაძღარო ჩინოვნიკებო! — ეს ფეხბურთი მაინც „დაგვანებეთ და შეგვარგეთ" — ჩვენ ხომ არ გეჭრებით ძვირად ღირებულ ოპერაში, რაც, სხვათა შორის, ისევე გესმით, როგორც ფეხბურთი?!.**

**დავით მხეიძე**

**განგაში**

# შეგნებული წაყრუებით გაფუჭებული საქმე

## ფლორა და ფაუნა უმოწყალოდ ნადგურდება, რეაგირებას კი არავინ ახდენს

**უცხოელებზე ტყის გაყიდვა ჩვენს ბუნებას კატასტროფამდე მიიყვანსო, გაიძახოდნენ არასამთავრობოები და ბუნების დამცველები.**

ჩვენ ტყეს უცხოელ ინვესტორებს დროებით სარგებლობაში გადავცემთ გარკვეული ვადით, — უპასუხებდა მათ ხელისუფლება.

ახალი მეპატრონეების კუთვნილ ჩვენს მიწა-წყალზე შესვლა და მონიტორინგის ჩატარება თითქმის შეუძლებელია. არავის უშვებენ. შეშვება და შემოწმება კი არა, რეინჯერები (ტყის მცველები!ძ ფიჩხის შესაგროვებლად და შესულ მოქალაქეებსაც კი დიდ ჯარიმებს აკისრებენ. შესულ პირუტყვს აკავებენ, მეპატრონეებს სოლიდურ თანხებს სთხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში პირუტყვის ჩამორთმევით იმუქრებიან. გასხვისებას გადარჩენილ ტყეს, ნაკრძალებს, სამონადირეო მეურნეობებს სახელმწიფო დაცვა უყენია, მაგრამ უფულობის მოიზეზებით მცველთა რაოდენობა შეზღუდულია, ანაზღაურება — მიზერული.

რეინჯერების სიმცირისა და სხვა გარემოებათა გამო, ჩვენებური ბრაკონიერები უმოწყალოდ ჩეხენ ტყეს, ხოცავენ თითებზე ჩამოსათვლელ უნიკალურ ცხოველებს. როგორც ამ დარგის სპეციალისტები ამბობენ, მომხდარზე თითქმის არ რეაგირებენ ბუნების დაცვის სამინისტრო, ადგილობრივი სამართალდამცავები. საბედნიეროდ, ყველგან ასე არ არის. ლაგოდეხის სამონადირეო მეურნეობის შპს „ფაუნის" დაცვამ არაერთი ბრაკონიერი გამოავლინა, რომლებიც ძირითადად შველზე ნადირობენ. დაკავებულებს ადგილობრივ პოლიციას გადასცემენ, მაგრამ კანონდამრღვევთა შემდგომი ბედი უცნობია.

სამინისტროს, ადგილობრივი ადმინისტრაციული სამართალდამცავი ორგანოების გამიზნული თუ უნებლიე უყურადღებობით გათამამებულმა უცნობმა ბრაკონიერმა რამდენიმე დღის წინათ „ფაუნის" დაცვის უფროსს ზურაბ გოგოლაძეს მოკლული შველის თავ-ფეხი, ტყავი და მუქარის წერილი შეუგზავნა. წერილში ინკოგნიტო ბრაკონიერი წერს, ვიდრე გოგოლაძეს სამსახურიდან არ გაათავისუფლებენ, სისტემატურად გავაგრძელებ ცხოველების ხოცვასო.

ჭიაურის ტყის ტერიტორიაზე მდებარე შპს-ს ხელმძღვანელობამ მომხდარის შესახებ ყველა ინსტანციას აცნობა, მაგრამ რეაგირება ჯერაც არ ჩანს. დუმს კახეთის ბუნების დაცვის ბიუროც, — აცხადებენ „კახეთის საინფორმაციო ცენტრში".

არსებობს ეჭვი, რომ წაყრუება შეგნებულად ხდება. ხელისუფლებას ჭიაურის ტყის გაყიდვა სურს, სამონადირეო მეურნეობა კი მიზნის განხორციელებაში პრობლემებს უქმნის და ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით ცდილობს, აიძულოს „ფაუნის" ხელმძღვანელობა, თვითლიკვიდაცია გამოაცხადოს.

**ზაზა ბილიხოძე**



**ინფორმაცია**

### აპროტესტებენ სარეზერვო ფონდებს

**„ქრისტიან-დემოკრატები" მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში სარეზერვო ფონდების ზრდას აპროტესტებენ.**

**— შარშანდელი ბიუჯეტის დაგეგმვისას ქამრების შემოჭერის პოლიტიკა სწორედ სარეზერვო ფონდების შემცირებით დაიწყო და თითოეული 25-25 მილიონით განისაზღვრა. ეს არის ის თანხები, რომელსაც პირდაპირ შეიძლება ვუწოდოთ პრეზიდენტისა და მთავრობის ჯიბის ფული, რადგან ამ მიმართულებით კონტროლისა და მონიტორინგის საშუალება პრაქტიკულად არ არსებობს. თავდაპირველად, სარეზერვო ფონდებიდან თანხის გამოყოფა მხოლოდ ფორსმაჟორულ ვითარებაში იყო შესაძლებელი, საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილების შემდეგ კი პრეზიდენტსა და მთავრობას მილიონების განკარგვა საკუთარი სურვილის შესაბამისად შეუძლიათ, — განაცხადა ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარემ.**



ჯი-ეიჩ-ენი

დიდი ცხოვრება



კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს
ფიქრსა ჰფიქრობს,
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!
დიდია ხალხი, რომ ეგ გრძნობა
წინ წარუძღვება!“

„მთელი კავკასიის თავისუფლება!“, – ასეთია ილიას ანდერძი და გზავნილი ქართველი და ყველა კავკასიელი ხალხისთვის. „აჩრდილი“ თავისებური პროგრამაა ამ იდეის განხორციელებისთვის. თუ ყურადღებით წავიკითხავთ პოემის ოცდაშვიდ თავს, თვითეულ მათგანში ამ პროგრამის, ზემოხსენებული მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის მხატვრული გადმოცემაა. ამით ავტორი მუხტავს მკითხველს იმ დიდი ოპტიმიზმით, რომ – „აღმობრწყინდება მზე დიდებულადა და გაანათლებს კავკასის მთებსა“...

სარედაქციო წერილების ციკლში – „ცხოვრება და კანონი“, აგრეთვე, „შინაური მიმოხილვა“, ილიამ მოგვცა კავკასიის ერთობის სოციალურ-ეკონომიკური დასაბუთებაც: თავისი გეოგრაფიული გარემო-პირობებით, საერთო-ისტორიული განვითარებით, ტრადიციებით და წეს-ჩვეულებებით კავკასიელ ხალხებს აქვთ ობიექტური საფუძვლები განახორციელონ „კავკასიის საერთო სახლის“ ძველი იდეა. კაპიტალიზმი და მისი ინტეგრაციული პროცესები განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის ამისთვისო, – ხაზგასმით აღნიშნავდა ილია.

ამ მიმართულებით მრავალი წერილი და სტატია მიუძღვნა ეკონომიკური და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემებს კავკასიაში. ილიას ყველაფერი ეს მომავალში „კავკასიის საერთო ბაზრის“ შექმნის წინაპირობად მიაჩნდა. ილიას მიმდევრებმა – ვაჟა-ფშაველამ, ნიკო ნიკოლაძემ, არჩილ ჯორჯაძემ, ვარლამ ჩერქეზიშვილმა – განავითარეს ეს, ისე როგორც „საერთო ნიადაგის“ თეორიის სხვა იდეებიც. ვ. ჩერქეზიშვილმა, რომელიც ევროპაში მოღვაწეობდა, წამოაყენა ე. წ. „კავკასია-ევრაზიული შვეიცარიის“ და მისგან გამომდინარე, „კავკასიის შეერთებული შტატების“ და „კავკასიური კონფედერაციის“ სხვადასხვა იდეა. ილიას და მის მიმდევრებს დასაშვებად მიაჩნდათ „კავკასიის ნეიტრალიტეტის“ იდეაც ევროპისა და მსოფლიოს სხვა წამყვანი სახელმწიფოების მტკიცე გარანტიებით...

– ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია, და დღეს ასე გააქტიურებული კავკასიური პრობლემების პირობებში, კარგი იქნება, თუ გავიხსენებთ დიდი ილიას ნაფიქრ-ნააზრევს და მასთან ერთად, მის წინამორბედ, თუ მის შემდგომ ჩვენს მოღვაწეებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ 1830-1832 წლების შეთქმულება და მისი პროგრამა – „აქტი გონიერად“. სწორედ აქ გაჟღერდა პირველად „საერთო ნიადაგის“ თეორიის ბევრი მნიშვნელოვანი პრინციპი. სრულდება შეთქმულების ჩასახვის 180 წლისთავი და კარგი იქნება მივუძღვნათ მას სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „1830-1832 წლების შეთქმულება და რუსეთის კავკასიური პოლიტიკა“.

„საერთო ნიადაგის“ თეორია რუსეთის „გათიშე და იბატონეს“ იმპერიული პოლიტიკის ერთადერთი ალტერნატივაა. სხვანაირად არც საქართველოს და არც კავკასიას მომავალი არა აქვს. ამიტომაც გაუკეთა „ქართვლის დედას“ ქვესათაურად – „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“...

დრო ყველაფერს ცვლის ამქვეყნად და კავკასიაშიც ბევრი რამ შეიცვალა: დღეს იგი აღარ წარმოადგენს სამი იმპერიის – რუსეთის, თურქეთისა და ირანის „საჯილდაო ქვას“. სამხრეთ-ჩრდილოეთის ამ ძველ ვექტორს ახლა დასავლეთიც მიემატა. ევროპა და ამერიკა სულ უფრო აქტიურად ერთვება ჩვენი რეგიონის ცხოვრებაში... ასე რომ, „კავკასიური ცარცის წრის“ სიმბოლიკა თეატრალურიდან პოლიტიკურ სცენაზე ინაცვლებს...

# ილია და კავკასია

**ილიას პიროვნების ჩამოყალიბება XIX საუკუნის I ნახევრის მშფოთვარე ეპოქაში ხდებოდა. განუწყვეტელი აჯანყებები კახეთში, ქართლ-კახეთის მთიანეთში, შემდეგ კი, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, მაგრამ ილია ჭავჭავაძის ცნობიერების ფორმირებაში ყველაზე დიდი გავლენა მაინც, 1830-1832 წლების შეთქმულებამ და მისმა იდეოლოგებმა მოახდინეს. იგი ხომ თავს „ოცდაათიანელთა მემკვიდრედ“ თვლიდა...**

ამ მოვლენებს მოჰყვა რუსეთის პირველი კავკასიური ომი („შამილის აჯანყება“ძ, რომლის უშუალო თვითმხილველი თვითონვე იყო. იმას მიუძღვნა მან ორი პოემა („აჩრდილი“ და „ქართვლის დედა“ძ, შემდეგ კი, მრავალი პუბლიცისტური წერილი. ილია ღრმად ჩასწვდა რუსეთის კავკასიური პოლიტიკის არსს – მოეწყვიტა კავკასია და შავი ზღვა-კასპიისპირეთი დანარჩენი მსოფლიოსგან. ყირიმის ომმა ნათლად აჩვენა ეს...

ამ იმპერიულ პოლიტიკას ემსახურებოდა მთელი XIX-XX საუკუნეების მანძილზე წარმოებული კავკასიელთა გენოციდის პოლიტიკა, „მუხაჯირობა“ რომ მოჰყვა შედეგად – ეს უმძიმესი დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ჩერქეზების, ჩეჩნების, ინგუშების, ქართველების, აფხაზების... გასახლების საკითხი არაერთხელ იდგა ამ 200 წლის მანძილზე. „კავკასია – კავკასიელების გარეშე!“, ასეთი იყო და ასეთად რჩება რუსული დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის არსი...

„კავკასია – კავკასიელებისთვის!“, ასეთი იყო და ასეთად უნდა დარჩეს ჩვენი პასუხი. მისი პროგრამული საფუძვლები მოგვცა ილიამ „საერთო ნიადაგის“ თეორიით, მისი სამართლებრივი და ზნეობრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპებით. ეს თეორია და მისი ეს პრინციპები ჩვენგან გამოყენებით პოლიტოლოგიურ კვლევას ელის. ილიას კარგად ესმოდა, რომ კავკასიის თავისუფლების გარეშე არ არსებობს საქართველოს თავისუფლება და პირიქით. ამ იდეით არის გაჟღენთილი მთელი მისი მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა...

პირველად მან ეს დიდი იდეა „ქართვლის დედაში“ გააჟღერა 1860 წელს. ეს პოემა კავკასიის ერთობისა და თავისუფლებისადმი მიძღვნილი ერთი დიდი ჰიმნია და კარგი იქნება, თუ იგი ყველა კავკასიელი ხალხის ენაზე ითარგმნება და ამასთან, განსცენირდება. რად ღირს თუნდაც, ამ პოემა-პიესის დასაწყისი:

**„ჩემი მამული, საქართველო,**
**დღეს მიცოცხლდება!..**
**ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა,**
**ხალხი მოქმედებს,**



დრო ყველაფერს ცვლის კაცისა და ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ არა არსს. ჩვენს შემთხვევაშიც არსი უცვლელია, ანუ ის, რაც ილიამ ზუსტად 150 წლის წინათ თქვა – „მთელი კავკასიის თავისუფლება!“

**ელბერდ ბატიაშვილი**

თარიღი

# „...რომ ირწმუნოთ იგი, ვინც მან მოავლინა“

## საწერეთლოში, ღვთიური მგოსნის იუბილეზე...

**იდგა ოქტომბრის 17, იყო დღე ამაღლებული, გარემო – ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვანი.**

**„ქუდზე კაცს“ მოუყრია თავი საჩხერეში. „ჩანგნაკურთხი საქართველოს ბულბულის“ აკაკი წერეთლის 170 წლისთავს ზეიმობდა სრულიად საქართველო.**

აკაკის ნიჭის უამრავი თაყვანისმცემელი ამაყად მიაბიჯებდა მგოსნის ნატერფალებზე, ჟღერდა აკაკის სიტყვა და ლექსი, სულის სიღრმეში ილვენთებოდა „ჩონგურისა“ და „სულიკოს“ ჰანგები.



დილის სისხამზე, უამრავი მაყურებელი ეწვია რაიონის კინოთეატრს და დაიწყო აკაკის იუბილე რაჭალეჩხუმში მისი მოგზაურობის ჩვენებით. მგოსნის თაყვანისმცემლები გვირგვინებით ამკობენ ძეგლს; სავანეში ძიძისეული კარმიდამო გამორჩეულად მასპინძლობს სტუმრებს. რაიონის გამგებელს – ზურაბ ცერცვაძეს და საკრებულოს თავმჯდომარეს – ნოდარ აბჟანდაძეს ყურადღების მიღმა არავინ რჩებათ. ვერცხლისწყალივით მოუხელთებელია სხვიტორის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ცეზარ ლაშხი. თითქოს ეპაექრებიანო ერთურთს აკაკის სიყვარულით გულანთებული გიორგი ზარამიძე, მაყვალა გონაშვილი, რეზო ჭეიშვილი, რევაზ მიშველაძე, თეიმურაზ ლანჩავა, ნუგზარ ნადარაია... სხვები და სხვები. ტკბილხმოვანებით რომ ველარ შეძლო, „მანდილით“ დააცხრო „მღელვარება“ ნუკრი კაპანაძემ, რასაც მოჰყვა „ქართული ხმები“ და სხვა მრავალი ეროვნული... ეროვნული და მხოლოდ ეროვნული!

აღდგა ტრადიციაც, საპატიო მოქალაქეების არჩევისა.

ამჯერად, ეს პატივი გამორჩეულად საჩხერლებმა თემურ ფალავანდიშვილმა, რევაზ ქავთარაძემ და თამაზ მაჭავარიანმა დაიმსახურეს.

დიახ, უჩვეულოდ ბრწყინავდა საჩხერის ცა-ფირუზი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ენკენისთვეში საჩხერეში სტუმრობამ სულიერი განწმენდის მადლი მოჰფინა საწერეთლოს. საჩხერელმა აღმაშენებელმა ბიძინა ივანაშვილმა კი ხორცი შეასხა მშობლიურ სანახებს...

ხატებიდან მირონი გადმოედინება და ეს ყველაფერი შემთხვევითი როდია! რადგან, იოანეს ბრძნული ნათქვამისა არ იყოს: „ესაა საქმე ღვთისა, რომ ირწმუნოთ იგი, ვინც მან მოავლინა“...

**სოზარ კუპატაძე,**
„სრ“ საკ. კორ. ქ. საჩხერე

ინფორმაცია

### ჯანდაცვის რეფორმა „თავისუფალი დემოკრატებისებურად“



**– ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატებისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „გვახსოვდეს ჰიპოკრატეს“ თანამშრომლობით, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა – თბილისის ჯანდაცვის განვითარების გზები შეიქმნა.**

**პროგრამას განსახილველად თბილისის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე წარადგენენ.**

**„თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლებას ისეთ პროექტს სთავაზობენ, რომლის განხორციელების შედეგად: ყოველ მოქალაქეს პირადი ექიმი ეყოლება; მოხდება 5-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის გადაუდებელი სასწრაფო დახმარებით უზრუნველყოფა; დარეგულირდება სიცოცხლისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი მედიკამენტების ფასები; განხორციელდება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული 350 დასახელების ძირითადი მედიკამენტების სახელმწიფოს მიერ შესყიდვა; მოხდება სამედიცინო პერსონალის „პროფესიული პასუხისმგებლობის“ დაზღვევა.**

[illegible]

საავტომობილო ბაზარი



# როცა მანქანები ტროტუარებსაც „იპყრობენ“...

**რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, საქართველოს საექსპორტო საქონლის ლიდერთა სამეულში მეორე ადგილზეა... მსუბუქი ავტომობილები! ამასთან, არსებული ინფორმაციით, შიდა საავტომობილო ბაზრის სამ მეოთხედზე გაცილებით მეტი (დაახლოებით 85 პროცენტი), ნახმარ ავტომანქანებზე მოდის.**

რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიის შემდგომ ე.წ. მეორადი და ახალი ავტომანქანების გაყიდვების მაჩვენებელმა ქვეყანაში შემოზიდული რაოდენობის... მხოლოდ ერთი პროცენტი (!) შეადგინა. თუმცა შემდგომ ვითარება თანდათან შეიცვალა და, სადღეისოდ, სტატისტიკური და სხვა (კერძოდ, საბაჟოს) მონაცემების თანახმად, შარშანდელთან შედარებით, საავტომობილო ბაზარზე, წინა წლებთან შედარებით დაახლოებით 70 პროცენტით მეტი მანქანა შემოაქვთ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში მეორადი ავტომობილების ბაზარზე ნახევარზე მეტია ამერიკული წარმოების ავტომანქანები, რასაც არა იმდენად მათი ჩვენს ავტომოყვარულებში პოპულარობა, რამდენადაც ადგილზე სიაფე, საზღვაო გადაზიდვის ხელმისაწვდომობა (600-1000 დოლარის ფარგლებში) და კარგად აწყობილი კონტეინერული სისტემა განაპირობებს. რაც შეეხება გასაყიდად გამოტანილი დანარჩენი მანქანების წარმომავლობას, 30 პროცენტი იაპონურ, 15 პროცენტი – გერმანულს, ხოლო კიდევ ხუთი პროცენტი ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ქარხნების საავტომობილო პროდუქციას უკავია.

იმის მიუხედავად, რომ იაპონური ავტომანქანების უმეტესობას საჭე მარჯვენა მხარეს აქვს, რაც, ჩვენში მიღებული მარჯვენა მხარეს მოძრაობის წესისა და მძღოლთა ჩვევების გამო, ერთგვარ უხერხულობას ქმნის და მიჩვევას საჭიროებს, მათზე მოთხოვნა, უწინარესად, მაღალი ხარისხით და საწვავის შედარებით ეკონომიური ხარჯვითაა განპირობებული.

ჩვენში საავტომობილო ბაზარს გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს, რაც იმაში აისახება, რომ თუ სხვა, დიდი საავტომობილო პარკის მქონე ქვეყნებში, დილერთა მოგების ლომის წილი საშუალო და დაბალფასიანი ავტომანქანების გაყიდვაზე მოდის, რაც საწვავის საყოველთაო გაძვირების პირობებში მყიდველთათვის ხშირად მთავარი განმსაზღვრელი მომენტია, ჩვენში გამყიდველები უფრო ძვირად ღირებული ავტომანქანების გაყიდვით ხეირობენ, რომლებიც, ხშირად, პერსონალური დაკვეთებით ჩამოჰყავთ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროპის ქვეყნებიდან უკვე ნახმარი ავტომანქანების შემოტანას დაახლოებით ერთნაირი დრო სჭირდება, ხოლო ჩვენს შიდა ბაზარზე ამერიკულ პროდუქციაზე მეტი მოთხოვნაა მიუხედავად იმისა, რომ გერმანულს (განსაკუთრებით „მერსედესსა“ და „ბმვ“-ს) და იაპონურს ხარისხით ჩამოუვარდება, მეტი მოთხოვნაა. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ჩვენს შიდა ბაზარზე ქართველ დილერებს, რომლებიც რიცხოვნობით ბევრად სჭარბობენ მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის დილერებს, მაინც ამერიკული პროდუქციის შემოტანა ურჩევნიათ. ხოლო რაც შეეხება გაყიდვების მთლიან მოცულობას, ამ მხრივ გერმანული „ოპელი“ ლიდერობს.

საქართველოში საავტომობილო ბაზრის მომხმარებლები, პირობითად შეიძლება სამ კატეგორიად დავყოთ. პირველია პრესტიჟული მარკების ახალი ავტომანქანების მყიდველები, მეორე – პრესტიჟული მარკების, თუმცა რამდენადმე ნახმარი (2-3 წლის) ავტომანქანების მყიდველები, ხოლო მესამე ჯგუფის მყიდველები მანქანების შეძენისას მათი უფრო პრაქტიკული (მაგალითად, ტაქსებად) გამოყენების შესაძლებლობას აქცევენ ყურადღებას. საავტომობილო ბაზრებზე გაყიდული სხვადასხვა ქვეყნის ფირმების მიერ გამოშვებული ავტომობილების ფასი, რომლებიც სხვაზე მეტი ოდენობით იყიდება, უმეტესად 5-10 ათასი დოლარის ფარგლებშია მოქცეული.

არის ერთი გარემოება, რომელსაც, როგორც ავტომანქანების დილერებიც და პოტენციური მყიდველებიც უჩივიან: ესაა თბილისის ავტობაზრის დიღმის ტერიტორიიდან შორს, რუსთავის მახლობლად გადატანა, სადაც მისვლა გარკვეული პრობლემაა. იმის მიუხედავად, რომ უკრაინულმა „პრივატ ჯგუფმა“ რუსთავის მახლობლად ახალი ავტობაზრის აშენებაში სოლიდური ინვესტიცია ჩადო, სათანადო ინფრასტრუქტურა, თბილისში ავტომანქანების გაყიდვის ბიზნესის ამ ფაქტობრივ მონოპოლისტს, ბოლომდე მოწესრიგებული არა აქვს, ასევე ძალიან ძვირია მანქანების დაყენების გადასახადიც, რომელიც ხშირად დღეში შვიდ ლარს აღწევს.

ზოგადად კი, როგორც ჩანს, თბილისში მეორადი ავტომანქანებით ვაჭრობა გამოცოცხლების გზას ადგას, რასაც დედაქალაქის ავტომობილებით გადაჭედილი მარტო ქუჩები კი არა, ტროტუარებიც მოწმობს.

**ოთარ ტურაბელიძე**

პრობლემა

# ჭაობიანი დაბლობების დაუფიქრებელმა დაშრობამ არც ერთ ქვეყანას სიკეთე არ მოუტანა

***პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, 2012 წლიდან დაიწყება კოლხეთის დაბლობის დაშრობა, გამოთავისუფლებული მიწის ფართობი კი საექსპორტო კულტურების განვითარებისთვის გამოიყენება.***

***ალსანიშნავია, რომ კოლხეთის დაბლობი გასულ საუკუნეშიც დააშრეს, თუმცა იგი ხელმეორედ დაჭაობდა.***



***ღირს თუ არა ამ ტერიტორიის ხელახლა დაშრობა, მასზე სოლიდური თანხების დახარჯვა, რა მოგებას მოუტანს აღნიშნული მეურნეობის განვითარება სახელმწიფოს და რა სახის ეკოლოგიური ზიანი შეიძლება მიადგეს გარემოს? — ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ სოფლის მეურნეობის ექსპერტს პაატა კოღუაშვილს ესაუბრა.***

– პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებებში რაღაც საინტერესო და დადებითი მართლაც არის ხოლმე, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი განცხადებები აგრარულ მეურნეობაში ბოლომდე არ ხორციელდება. ახლაც ცნობილი არ არის, კოლხეთის დაბლობის დაშრობის შემდგომ იქ რა უნდა განვითარდეს, რა კულტურები უნდა გავაშენოთ, როგორ უნდა გავაშენოთ და ა.შ. თავისი ბუნებით ეს ტერიტორია არის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა, სადაც უნდა განვითარდეს მეცხოველეობა, შესაბამისი საკვების წარმოება, ეთერზეთების, სოიოს წარმოება და ა.შ. ჩვენი უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს ასეთი ტერიტორიიდან ქვეყნის გამოკვების ინტერესი. საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა ასევე ნიშნავს საკურორტო მეურნეობების მომსახურებასაც. ამ ჭაობის დაშრობა გამართლებული იმ შემთხვევაში იქნება, თუ დაშრობა ოპტიმალურ დონეზე მოხდება და თანაფარდობის ბალანსი დაცული იქნება.

**– სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ამართლებს თუ არა ასეთი ტერიტორიების დამუშავება?**



– ასეთი ჭაობიანი დაბლობების დაშრობამ არც ერთ ქვეყანას არ მოუტანა სიკეთე. ის ქვეყნები იძულებული გახდნენ, ხელახლა დაეჭაობებინათ ასეთი ტერიტორიები, რადგან გარემოს განვითარებისთვის საჭირო ოპტიმალური თანაფარდობა დაირღვა. თუ ზღვარია დაცული, მაშინ ამართლებს კიდეც. ეს ყველაფერი ძალიან კარგად უნდა დაიგეგმოს და გააზრებულად გაკეთდეს. აღნიშნული ტერიტორია მე-20 საუკუნეშიც დააშრეს, მაგრამ ხელმეორედ დაჭაობდა. კოლხეთის დაბლობზე, ჭაობებში უდიდესი სიმდიდრეა. აქ არის იმდენი ცილა, რომ მთელი ევროპის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. აქ არის თერმული წყლები და იმდენი ორგანული სასუქი, ვერც კი წარმოიდგენთ. კოლხეთის ჭაობებში უსაზღვროდ დიდი ბუნებრივი სიმდიდრეა, რომელსაც მოპოვება, დამუშავება და საექსპორტოდ გატანა სჭირდება.

**– დაშრობის შემდეგ ეს ორგანული სიმდიდრეები დაიკარგება?**

– დაშრობის შემდეგ, ეს ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. თუ ოპტიმალურ დონეზე დააშრეს, მაშინ ეს სიმდიდრეებიც გადარჩება, მაგრამ თუ იქ ზღვარი არ იქნა დაცული, დაიკარგება. იმ დონეზე მაინც უნდა დავაშროთ, რომ გარემოს შემდგომი აღწარმოებისათვის ხელისშემშლელი არ გახდეს. ეს არის აქ ყველაზე მნიშვნელოვანი.

**– თუ ასეთი სიმდიდრეა და მისი ექსპორტით სახელმწიფოს სერიოზული მოგების მიღება შეუძლია, აქამდე რატომ არ მოხდა მისი დამუშავება და ექსპორტი?**

– ეს დიდი სამუშაოებს, უზარმაზარ კაპიტალურ დანახარჯებს და ინვესტიციებს მითხოვს. ეს უნდა გააგებინონ, უთხრან ევროპას და აუხსნან. ამ კუთხით აქამდე არავითარი სამუშაოები არ ჩატარებულა, კოლხეთის ნიადაგების რუკაც კი არ გაგვაჩნია – აბსოლუტურად შეუსწავლელელია. ამ ეტაპზე ეს ჰიპოთეტური პროექტია. ამას სჭირდება დიდი ფიქრის შემდეგ მიღებული გააზრებული გადაწყვეტილება, თუმცა წინა საუკუნეში ასეთი პროექტები დამუშავებული იყო. ეს უდიდესი სიმდიდრე – კოლხეთის დაბლობი – ქვეყნის სამსახურში რომ უნდა ჩადგეს, ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ოპტიმალური ვარიანტი უნდა შემუშავდეს, რათა არ მოხდეს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა.

აუჰჰ!

# ქართული ბაყაყის ექსპორტის იდეა „ჩაიფუშა“

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბაკურ კვეზერელის მიერ ევროკავშირის ქვეყნებში ბაყაყების შესაძლო ექსპორტის შესახებ გაკეთებული განცხადება განცხადებად რჩება.**

კვეზერელმა ქართული ბაყაყის მოსალოდნელი ექსპორტის შესახებ ჯერ კიდევ 10 აგვისტოს განაცხადა. მინისტრმა იქვე დასძინა, რომ აჭარისა და გურიის რეგიონებში ბაყაყების მომშენებლი მეურნეობები უკვე არსებობს და საქმე მხოლოდ სფეროს ინვესტირებასა და განვითარებაზეა.

„პირველი“ დაინტერესდა, რა მდგომარეობაა ამჟამად აჭარისა და გურიის რეგიონებში ბაყაყების მომშენებელი მეურნეობების კუთხით. შესაბამისი კითხვით ჯერ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მივმართეთ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, კვეზერელის უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გიორგი ჩადუნელი ბაყაყების მომშენებელი მეურნეობების შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობს.

შემდეგ ინფორმაციის მოძიება თავად რეგიონებში ვცადეთ. თუმცა გაირკვა, რომ ბაყაყების მომშენებელი მეურნეობის ფუნქციონირების შესახებ არც გურიის მუნიციპალიტეტში იციან რამე.

**„გურიაში, კერძოდ, ლანჩხუთის რაიონში ბაყაყების მომშენებელი მეურნეობის შექმნაზე საუბარი ნამდვილად იყო, მაგრამ საკითხი საუბრის დონეს არ გასცდენია და შემიძლია, დანამდვილებით ვთქვა, რომ ამჟამად გურიაში არანაირი საბაყაყე მეურნეობა არ ფუნქციონირებს“,** – განუცხადეს „პირველს“ ადგილობრივ მუნიციპალიტეტში.

სააგენტო შეეცადა, კვეზერელის უწყებაში ბაყაყების ექსპორტთან დაკავშირებული სამომავლო საკითხები მაინც გაერკვია, თუმცა როგორც სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, თავად იგი ამ საკითხზე ინფორმირებული არ არის, **„მინისტრი კი ბაყაყებზე კომენტარს არასდროს არ გააკეთებს“.**

აღსანიშნავია, რომ ეს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი შეუსრულებელი განცხადება არ არის. მთავრობის 2009 წლის ერთ-ერთ სხდომაზე ბაკურ კვეზერელმა განაცხადა, რომ 2010 წელს სახელმწიფო დაუმუშავებელ მიწებს თავად დაამუშავებდა და მოსავალს საერთო ბეღელში შეინახავდა, თუმცა მსგავსი „ქველმოქმედება“ მთავრობას დღემდე არ გაუწევია.

**ცნობისთვის:** წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუნიციპალიტეტების მოსახლეობისთვის არც მინერალური სასუქი დაურიგებია. როგორც სამინისტროში განგვიმარტეს, 2009 წელს სოფლის მოსახლეობას მინერალური სასუქი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში დაურიგდა, წელს კი მსგავსი პროგრამა გათვალისწინებული არ იყო.



## (რ)ევოლუციური შეჯიბრი

***თურმე „ვარდების (რ)ევოლუციის" შემდეგ მარტო ჩვენი ისტორია კი არ იწყება, არამედ ნიჭიერებს ასპარეზი მიეცათ ამ ნიჭის გამოსავლენად! — ისე გვახარა საქართველოს პრეზიდენტმა, თითქოს ახალი ამერიკა აღმოეჩინოს. მანამდე (ანუ „რევოლუციამდე") ჩვენს ძალიან ნიჭიერ ხალხს მსგავსი „ასპარეზი არ ჰქონიაო".***

***ეს ვარდისფერი ასპარეზი კი კომპიუტერსა და ინგლისურ ენას გაუფართოებია, გაუშლია... მართლაცდა, „მიეცით ნიჭსა გზა ფართო"... და „ფრთები, ფრთები გვინდა" სრული ბედნიერებისათვის!***

# რატომ შეიჯავრეს „ვარდებმა" ფერადი ფანქრები?

ჩვენმა პრეზიდენტმა რევოლუციამდელი (ოქტომბრის რევოლუცია არ გეგონოთ) ბავშვებიც, ასე ვთქვათ, „გააფარჩაკა", მართალია, მათთვის გონებაჩლუნგი არ უწოდებია (ეტყობა, გაახსენდა, რომ თავადაც რევოლუციამდელი ბავშვი იყო), მაგრამ ფერადი ფანქრებით „აღჭურვილად" წარმოგვისახა: **„რევოლუციამდე ბავშვებს ფერადი ფანქრები გვქონდა, ხოლო რევოლუციის შემდეგ აქვთ ფერადი კომპიუტერი. ეს არის მთავარი განსხვავება"...**

ისინი, ვისაც ფერადი კომპიუტერი აქვთ, ჩვენზე მაგრები გამოვლენო, — იქვე დასძინა...

ჩემთვის, პირადად, გაუგებარია, რა კავშირი აქვს ფერად ფანქრებსა და კომპიუტერს ერთმანეთთან? ორივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი ბავშვის ცნობიერებაში. ვისაც ხატვა უყვარს, იმას მაინც ფერადი ფანქრები ურჩევნია კომპიუტერს... მაგრამ ეტყობა, აქაც ძაღლის თავია დამარხული — რატომ იყარა ჯავრი ფანქრებზე ზემოხსენებული სიტყვების ავტორმა? იქნებ ბავშვობაში რაღაცის გამო შეიძულა ხატვა?

**არც რუსთაველს, არც ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს კომპიუტერი არ ჰქონიათ, ვაჟა-ფშაველა სანთლის შუქზე ქმნიდა მწერლობის მარგალიტებს და უსულო საგნებს სულს უდგამდა... ფერადი კომპიუტერი ფიროსმანსაც არ ჰქონია. არც სჭირდებოდა. ფერადოვანი, თვითმყოფადი და გაოცებამდე სულისშემძვრელი იყო მისი სამყარო — ქართული მზისა და ზეცის საფირონი..**

კომპიუტერი არ ჰქონიათ, მაგრამ მთელ მსოფლიოში ქუხდა „ვარდობისამდე" ქართული კინო და თეატრი, მილიონიანი ტირაჟით გამოიცემოდა წიგნები, ითარგმნებოდა და საზღვარგარეთულმა ინტელიგენციამ მშვენივრად იცოდა ოთარ ჭილაძის, ნოდარ დუმბაძის, ჭაბუა ამირეჯიბისა თუ შოთა ნიშნიანიძის ნაწარმოებები. ახლა კი ჩვენმა ახალგაზრდებმა ისიც კი არ იციან, რა დაწერეს ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ... სად გაქრა ქართული ფეხბურთის დიდება? მოჭადრაკეთა ტრიუმფალური წარმატებები? ვინ იცის უცხოეთში ქართველი მწერლების, კინომოღვაწეთა სახელები?

თავის დროზე კი ქართული კინოს ფენომენმა მთელი მსოფლიო გააოცა. ასპარეზი არ ჰქონდათ? ჰქონდათ და თანაც ვრცელზე ვრცელი! ფერადი კომპიუტერი არც კი დასიზმრებიათ, მაგრამ ქართული მეცნიერება, ფიზიკა-მათემატიკის სკოლა მთელ მსოფლიოში ქუხდა.

და დღეს უდიდესი ქრისტიანული კულტურის ერს უცხოელმა მოხალისეებმა დასავლური ღირებულებები უნდა გააცნონ, ანუ ინფორმაცია მიაწოდონ დასავლური და ევროპული კულტურის, ფასეულობებისა და ტრადიციების შესახებ, რათა მომავალში წარმატებებს მიაღწიონ სამშობლოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობისასო, — ეს ყოფილა პროგრამის არსებითი მიზანი.

**მაშინ, როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უცხოეთში სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდებს, საქართველოს მთავრობა მოსწავლე-სტუდენტობას სამშობლოს ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწეობისთვის ამზადებს... ანუ ევროპული ტრადიციების საგულდაგულო შესწავლის შემდეგ ახალგაზრდობას უცხოეთის გზას გაუყენებენ? მძიმე სოციალური პირობები და უმუშევრობა ხომ ისედაც უბიძგებს მათ სხვა ქვეყანაში საარსებო წყაროს საძებნელად? ოფიციალური მონაცემებით, 2003 წლიდან 2010 წლის ჩათვლით, უმუშევრობა გაიზარდა და 16 პროცენტს მიაღწია. ხოლო საქართველო პირველ შვიდეგ იმ ქვეყნების ათეულში, რომლის მოქალაქეებიც ყველაზე ხშირად ითხოვენ თავშესაფარს საზღვარგარეთ. ჩვენ ამ ათეულში ავღანეთის, ერაყისა და ირანის გვერდით ვდგავართ!**



ძალიან კარგია ფერადი ფანქრებიც, კომპიუტერებიც და კოსმოსური ხომალდებიც, მაგრამ ბავშვებს რომ შიათ, ამას რა უშველის? — კომპიუტერი? **დათვალა ვინმემ, რამდენმა მშობელმა გამოიყვანა ბავშვი პირველი კლასიდან, იმიტომ რომ ძვირადღირებული წიგნები, ჩანთა და ტანსაცმელი ვერ უყიდა? იკითხა ვინმემ, რატომ შიმშილობს „ფერადი კომპიუტერების თაობა"? და რომ კალიფორნიელ და იაპონელ ბავშვებს ინტელექტით კონკურენცია რომ გაუწიო** (ჩვენი პრეზიდენტის სიტყვებია), **სწორედ ელემენტარული საარსებო პირობებია საჭირო? ზრუნავს ვინმე ამაზე?** რამდენი ნიჭი იკარგება სწორედ იმის გამო, რომ მშობლებს უსახსრობა ხელს უშლის ბავშვისთვის სათანადო განათლების მიცემაში.

თუ ბავშვს შია, მისთვის სულ ერთია, ფერადი ფანქრებიც და კომპიუტერიც. მაგრამ ჩვენი მომავლისათვის სულერთი არაა, „პირველ-დაწყებით სწავლას" რა ენაზე მიიღებს ბავშვი — მშობლიურზე თუ უცხო ენაზე. ილიას დროს პედაგოგის უპირველესი ჭეშმარიტების დარღვევად მიიჩნეოდა „პირველდაწყებითი სწავლის" მიღება არამშობლიურ ენაზე, დღეს კი გამალებულ ინგლისურიზაციას არანაირი ჭეშმარიტება არ სჭირდება! უცხო ენის აღზევება მშობლიურის დამცრობის ხარჯზე ულვთო რამ არის.

**და ისევ პატრიარქი აღმოჩნდა ენის სადარაჯოზე — „ენამ გადაარჩინა ერი, ქართული ენა და ჩვენი სარწმუნოება გადაარჩენს მომავალს. ვფიქრობ, რომელიმე მაღაზიის ან რომელიმე დაწესებულების წარწერა უნდა იყოს სამივე ანბანით. ამით ჩვენ ვასწავლით ახალგაზრდებსა და ხალხს სამივე დამწერლობას — ასომთავრულს, ნუსხა ხუცურს და მხედრულს.**

**ამიტომ მე მივმართავ ყველას, განსაკუთრებით ბიზნესმენებს, რომ დაიწერონ მათ დაწესებულებებზე სამივე დამწერლობით",** — აღნიშნა პატრიარქმა.

**„ადამიანი თუ მთელი ერი იმისთვის კი არ არის, რომ პური სჭამოს, პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცურად აცხოვროს თავისი შთამომავალი", — ეს სიტყვები კი დიდმა ილია ჭავჭავაძემ დაგვიტოვა... და დღევანდელობას ზარივით აფხიზლებს ისევ...**

**ნატა ნიბლაძე**

## ზოგიერთს ეშმაკი ისევ არ ასვენებს

# შირაკ ტოროსიანს იქნებ ის გაერკვია, ვინ არის და საიდან მოსულა

**ახლახან გაზეთ „ახალ თაობაში" (4.X) ასეთი წერილი წავიკითხე: სომხები ვაშაძეს პრეტენზიებს წაუყენებენ: ამ პრეტენზიების ინიციატორი დეპუტატი შირაკ ტოროსიანი ყოფილა. იგი წარმოშობით ახალქალაქელია და ყველაზე ანტიქართულად განწყობილი პიროვნებააო, ვკითხულობთ გაზეთში. ამისათვის ის რამდენიმე თვის წინათ საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოუშვიათ. ნათქვამი — „ბავშვს ჰკითხეს, რა გატირებსო, გამდის და ვტირივარო", ტოროსიანზე ზედგამოჭრილია. მათ თავის დროზე პასუხი უნდა გაეცეს.**

შირაკ ტოროსიანმა და მისნაირებმა სამცხე-ჯავახეთის ძირძველი ქართული მიწა-წყალი მათი კუთვნილება რომ არ არის, ეს უნდა იცოდნენ. აი, რას წერს ამის შესახებ რუსი ისტორიკოსი ივანენკო წიგნში: „История гражданского управления на Кавказе": **„1828 წელს, ოსმალეთიდან, ყარსისა და არზრუმის საფაშოებიდან, იქაური სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია: თითოს 25 მანეთი დახმარება აღმოუჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადებისგან გაათავისუფლა. ამის წყალობით საქართველოს 90000-ზე მეტი სომეხი ლტოლვილი მოაწყდა. მათ დასასახლებლად საახალშენო კომიტეტი დააარსეს და 3000-მდე სომეხი ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში დაასახლეს. თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, 1832 წელს, ქართველთა მაგიერ უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდნენ და ქართველ მაჰმადიანებს რიცხვით მხოლოდ მეორე ადგილი-ღა ეჭირათ".**

ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდნენ სომხები ჯავახეთში, ქართული კულტურის ამ ძველისძველ კერაში, წერს ერის დიდი მეისტორიე ივანე ჯავახიშვილი. ის იმასაც ფიქრობდა, რომ ოდესღაც სომხები თავიანთ ქვეყანას დაუბრუნდებოდნენ და ამ კუთხეში კვლავ ქართველები იცხოვრებდნენ. **„სომეხთა ამ კუთხეში დასახლება ქართველობას შეეძლო შეეხედნა მხოლოდ ვითარცა დროებითი მოვლენა: ვითარცა ოსმალეთის მიერ დევნილი ხალხის დროებითი შემოხიზვნისა და თავშეფარებისათვის. რა წამს სომეხთათვის პოლიტიკურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, — ეს ოსმალეთიდგან შემოხიზნული სომხობა კვლავ თავის სამშობლოს, მამა-პაპათა კერას უნდა დაუბრუნდესო".** არ გამართლდა მისი ნათქვამი. წასვლა კი არა, ამ მიწა-წყალზე პრეტენზიებიც გააჩნიათ.

ერთ არასასიამოვნო ფაქტს შევახსენებ შირაკ ტოროსიანს. 1918 წლის დეკემბერში სომხეთსა და საქართველოს შორის მომხდარმა ორკვირიანმა ომმა ვერავითარი სიკეთე ვარ მოუტანა სომხებს, პირიქით ყველაფრით თავი შეირცხვინეს. მაშინაც სომხეთში რატომღაც აზვირთებული იყო ანტიქართული ტალღა, განწყობა. როგორც ჩანს, იგი დროთა ვითარებაში ხან გაღვივდება და ხან ჩაქრება. ამას კი შირაკ ტოროსიანისთანა პირები ახერხებენ. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, ომის დროს სომხებმა სტამბოლში გამოსცეს ორი რუკა, რომელშიც თბილისი, მცხეთა, გორი და ბათუმიც სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული. აგრძელებს რა ამ თემაზე საუბარს, ივანე ჯავახიშვილი წერს: **„ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა, თავისი ქვეყნის სახელმწიფოს საზღვრებს ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად დაუდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილმეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარი მოსალოდნელ გადაარჩენს".**

ასე საღად და გონივრულად მსჯელობდა ამ 90 წლის წინათ ივანე ჯავახიშვილი. დღეს, დასანანი ის არის, რომ არსებობენ შირაკ ტოროსიანისთანა მოაზროვნეები, რომლებიც ხელს უშლიან ქართველი და სომეხი ხალხის კეთილმეზობლობასა და კარგ ურთიერთობას. ეს ზიანის მეტს ვერაფერს ვერ მოიტანს.

**დურმიშხან ცინცაძე**

## ინფორმაცია

### რას მოითხოვს რუსეთი პერევის სანაცვლოდ?

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ სოფელ პერევის დატოვების ფაქტს აფასებს. პოლიტოლოგის განცხადებით, რუსების პერევიდან გასვლაში მთავარი როლი საერთაშორისო თანამეგობრობამ და კიდევ რამდენიმე ფაქტორმა ითამაშა.**

**ცინცაძე აქცენტს აკეთებს იმაზეც, რომ შესაძლოა პერევის დატოვების სანაცვლოდ რუსეთმა დასავლეთს საკუთარი მოთხოვნები წაუყენოს. იგი ეჭვობს, რომ რუსეთის მოთხოვნები შესაძლოა საქართველოს საკითხსაც ეხებოდეს.**

**ცინცაძის განცხადებით, რუსეთისთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეხვედრების წინ, კრემლი ცდილობს დასავლეთს კეთილი ნების გამომხატველი ჟესტი აჩვენოს და სწორედ ამიტომ გაიყვანა ჯარი სოფელ პერევიდან.**

**— რუსეთის მიერ პერევის დატოვების მიზეზებზე საუბრისას ფაქტორების მთელი თაიგული შეიძლება გამოვიდეს. რასაკვირველია, ეს არის დაკავშირებული ჟენევის შეხვედრებთან, დიპლომატიური ზეწოლა რუსეთზე, ასევე, საფრანგეთში მიმდინარე შეხვედრა, სადაც წარმოდგენილი არიან ნიკოლა სარკოზი, ანგელა მერკელი და დიმიტრი მედვედევი. პერევის დატოვება უკავშირდება ლისაბონის სამიტს და უკავშირდება ასევე მოლდოვას საკითხს. როგორც ჩანს, ამ კონკრეტულ მომენტში რუსეთს აწყობს ასეთი რამ, რომ თავის დასავლელ პარტნიორებს აჩვენოს კეთილი ნება. აქ მთავარია სანაცვლოდ რას მოითხოვს რუსეთი, თორემ, ერთი ციცქნა სოფლის გათავისუფლება, როდესაც ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია, მხოლოდ პრეცედენტია. საინტერესოა, სანაცვლოდ რას მოითხოვს რუსეთი დასავლეთისაგან და შეგვეხება თუ არა მისი მოთხოვნები ჩვენ, — განაცხადა ცინცაძემ.**

### გავიდნენ და რა მნიშვნელობა ექნება ვისი ზეწოლით იქნება

**პერევიდან რუსი სამხედროების გასვლა საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის შედეგია.**

**ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

**მისი თქმით, საჩხერის რაიონის სოფელ პერევს 26-თვიანი ოკუპაციის შემდეგ ქართული მხარე სრულად აკონტროლებს.**

**— საერთაშორიო საზოგადოებამ უკვე გააკეთა შეფასება, რომ ეს არის პირველი ნაბიჯი დეოკუპაციისკენ. ამ ნაბიჯის გადადგმა სწორედაც, რომ მათი ზეწოლის შედეგია. იმედი გვაქვს, რომ ეს ზეწოლა კვლავ გაგრძელდება. საქართველოს ხელისუფლებისა და მოსახლეობისთვის თითოეული გოჯის გათავისუფლება მნიშვნელოვანია. თუმცა საქართველოს 20 % კვლავ ოკუპირებული რჩება. ასევე შეუსრულებელი რჩება 2008 წლის სარკოზი-მედვედევის შეთანხმების პრინციპული და ძირითადი საკითხები. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისევ ირღვევა ადამიანის უფლებები. ათიათასობით დევნილს არა აქვს შესაძლებლობა უსაფრთხოდ და ღირსეულად დაუბრუნდეს საკუთარ სახლებს, — განაცხადა მანჯგალაძემ.**

**როგორც მან განმარტა, პერევს ქართული მხარე სრულად აკონტროლებს, სოფელში შევიდნენ სადამკვირვებლო ჯგუფებიც და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის მოხდება სოფლის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში განაღმვითი სამუშაოები ჩატარდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მესაზღვრეები არასადავო სოფლიდან გავიდნენ

**რუსეთის მხარემ განახორციელა ღონისძიებანი, რომლებიც მას საშუალებას მისცემენ, კვლავაც ისაუბროს მედვედევი-სარკოზის გეგმის მკაცრ დაცვაზე, რამაც 2008 წელს შეაჩერა შეიარაღებული კონფლიქტი კავკასიაში. საქართველოს ტელეკომპანიებმა 18 ოქტომბერს პირველად აცნობეს მოსახლეობას სოფელ პერევში რუსეთის მესაზღვრეების ბლოკპოსტების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ.**

სოფელი პერევი საქართველოს საჩხერის რაიონშია, რომელიც სამხრეთ ოსეთს ესაზღვრება. ამ პროცესს თვალყურს ადევნებდნენ ევროკავშირის მისიის მეთვალყურეები, რომლებიც ახორციელებენ მონიტორინგს საქართველოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მახლობლად. პარალელურად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამზადებდა თავისი წარმომადგენლების შეყვანას სოფელში.

პერევიდან მესაზღვრეების სწრაფი გაყვანის შესახებ 14 ოქტომბერს ჟენევაში განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა, კავკასიაში უშიშროების საკითხებზე საერთაშორისო დისკუსიის მორიგი რაუნდის შემდეგ. „ეს არის პასუხისმგებლობის, კეთილი ნების აქტი, მაგრამ ამავე დროს არის გამოცდაც ჩვენი ქართველი პარტნიორების თავშეკავებისა და კეთილგანწყობილებისთვის“, — განაცხადა დიპლომატმა. მისი სიტყვებით, ამავე დროს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე სამხრეთ ოსეთის საზღვარი იქნება რუსი მესაზღვრეების კონტროლქვეშ, უკვე „აღარავის შეუძლია გააკრიტიკოს ცალკეული მესაზღვრეები, რომ ისინი იმყოფებიან სადღაც საქართველოს ტერიტორიაზე“. ამრიგად, დახურულად შეიძლება ჩაითვალოს საკითხი სოფელ პერევის შესახებ, რომელიც, გრიგორი კარასინის სიტყვებით, „მრავალი თვის განმავლობაში გაისმოდა ყველა მოლაპარაკებაზე და რომელსაც მუდმივად აყენებდნენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები“.



ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილება გამოთქვეს ქართველმა ხელმძღვანელებმა და აღნიშნეს, რომ რუსეთი არ უნდა შეჩერდეს ამაზე, მან უნდა გამოიყვანოს თავისი სამხედროები მთლიანად აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან.

ფრანგებმა და ამერიკელებმა პოზიტიურად შეაფასეს რუსეთის მოქმედებანი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მომხდარი ადასტურებს ჟენევის კონსულტაციების სარგებლიანობას, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი.

შემდეგი კონსულტაციები გათვალისწინებულია ჟენევაში 16 დეკემბრისთვის. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ბასმა განაცხადა, რომ ამერიკელები ღებულობდნენ და კვლავაც მიიღებენ ყველაზე საქმიან მონაწილეობას მოლაპარაკებაში საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ. საქართველოს ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ „პერევში ყოფნამ რუსეთის მხარისთვის დაკარგა აქტუალობა და ამით მათ ისარგებლეს. მოსკოვმა უჩვენა დასავლეთს ერთგვარი მზადყოფნა კონსტრუქტივიზმისთვის“.

ამავე დროს სამხრეთ ოსეთმა გვაცნობა, რომ უკვე აწარმოებს ცალმხრივად საქართველოსთან საზღვრის დელიმიტაციასა და დემარკაციას. თბილისში ასეთ მოქმედებებს, გასაგები მიზეზით, უკანონოდ მიიჩნევს. მიუხედავად სურვილისა, გამოეყონ საქართველოს „ნამდვილი საზღვრით“, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ შესთავაზა ქართველებს, რომლებიც ისტორიულად კომპაქტურად ცხოვრობენ ახალგორის რაიონში და რომლებმაც ორი წლის წინათ დატოვეს იგი, დაუბრუნდნენ მშობლიურ სახლებს და სთხოვა გაეროს, მხარი დაუჭიროს ამ პროცესს. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება განმარტავს, რომ დაბრუნებულებმა უნდა აღიარონ სამხრეთ ოსეთის იურისდიქცია.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## დედამიწის ზურგზე

**საფრანგეთში მასობრივი პროტესტების ახალი ტალღა კოლეჯის დაწვით იწყება**

ხანძარი ქალაქ ლე-მანში, სადაც უკანასკნელ დღეებში მიმდინარეობს პოლიციის შეტაკება ახალგაზრდობასთან, მოხდა 19 ოქტომბრის ღამით. სამშაბათისთვის განზრახულია ახალი საერთო-ეროვნული პროტესტები. ამავე დროს პრეზიდენტი სარკოზი, მიუხედავად გაფიცვებისა, მტკიცედ დგას საპენსიო რეფორმის განხორციელების მოთხოვნით.

* * *

**მექსიკაში ავტობუსი დაეჯახა სატვირთო ავტომობილს: დაიღუპა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ყველა 19 მონაწილე**

სამგზავრო ავტობუსი მექსიკიდან ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ საკატეკასკენ მიდიოდა. გზატკეცილზე ის შეეჯახა წინ მიმავალ ტრაილერს, რომელიც სამრეწველო ნაგვით იყო დატვირთული, და ცეცხლი გაუჩნდა.

* * *

**პენტაგონი იწყებს ნორჩ ამერიკელთა შორის მეცნიერების პოპულარიზაციის კამპანიას**

ამ ინიციატივის შესახებ განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ობამამ, როდესაც სიტყვით გამოდიოდა თეთრ სახლში პირველ სამეცნიერო ბაზრობაზე. ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ეროვნულ სასკოლო შეჯიბრებაში გამარჯვებულები საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და მათემატიკის დარგში. მოწვეული იყო აგრეთვე ნობელის პრემიის რამდენიმე ლაურეატი, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის მინისტრი სტივენ ჩუ.

# ბატონები, პანები და სამურაები

***საქართველომ საერთაშორისო სასამართლოს ჰააგაში მიმართა მორიგი სარჩელით რუსეთის წინააღმდეგ. ბრალდებები აბსურდულია: ვითომ რუსეთი 1990 წლიდან დღემდე დამოუკიდებელი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებში ახორციელებდა ქართული მოსახლეობის დისკრიმინაციასა და გენოციდს... მაგრამ რისთვის აკეთებს ამას საქართველოს ხელისუფლება? რა თქმა უნდა, იმედი აქვთ მხარდაჭერისა, რაღაც პოლიტიკური სარგებლისა, რომლებიც შემდეგ შეიძლება გადაიყვანო სავსებით მატერიალურ სარგებელში.***



**ვლადიმირი ჟარიხინი,** **დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე:**

— საქართველოს დიპლომატები უზრალოდ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ამაოდ არ ჭამენ საკუთარ პურს. მაგრამ საქართველოს მორიგ სარჩელს რუსეთისადმი არანაირი შედეგი არ ექნება.

ხომ ვერ გაექცევი იმ ფაქტს, რომ ეუთოს წევრების უმრავლესობამ აღიარა — „ხუთდღიანი ომი“ პირველმა სწორედ საქართველომ გააჩაღა. ქართველები არ უნდა ელოდონ დიდ დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ვინაიდან ამერიკელებისთვის ამ ეტაპზე გაცილებით ხელსაყრელია შეინარჩუნონ კარგი ურთიერთობა რუსეთთან. მაქსიმუმი, რისი იმედიც მათ შეიძლება ჰქონდეთ, — ეს არის კულუარული მხარდაჭერა. და კიდევ რაღაც დაპირებები. მაგალითად, ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი კიდევ ერთხელ დაჰპირდა, რომ „საქართველო გახდება ნატოს წევრი“.

საერთოდ კი მინდა ვთქვა, რომ ეს ჩვენ კი არა, ქართველები უნდა ღელავდნენ ძლიერად ჩვენს ორ ქვეყანას შორის კონფლიქტთან დაკავშირებით. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ საქართველოს მილიონი მოქალაქე მუშაობს ჩვენთან და არა პირიქით. დაე საქართველომ თავად იფიქროს: როდის და რა პირობებით დავთანხმდებით ჩვენ მათთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენაზე. მას ეს მეტად სჭირდება.



**ალექსი მუხინი,** **პოლიტიკური ინფორმაციის ცენტრის გენერალური დირექტორი:**

— რუსეთის საქართველოსთან ურთიერთობის პერსპექტივები სამწუხაროა. თუნდაც იმიტომ, რომ სააკაშვილმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა თავისი ყოფნის პროლონგირება ხელისუფლებაში 2013 წლის შემდეგაც — უკვე პრემიერად. რაც შეეხება რუსეთის წინააღმდეგ სარჩელის შედეგებს, რომელიც საქართველოს გაუთავებლად შეაქვს ევროპის სასამართლოებში, ისინი დამოკიდებულია მომენტის პოლიტიკურ კონიუნქტურაზე. საერთოდ ევროპაში საზოგადოებრივი აზრი საქართველოსთან დაკავშირებით მეტად სკეპტიკურია. ქართველების შეტევა რუსეთზე ევროპელებს შეიძლება არც მოსწონდეთ, მაგრამ ისინი იძულებული არიან, თავიანთი პოლიტიკის შესაბამისად, განიხილონ მათი გაუთავებელი პრეტენზიები, წარმოთქვან რიტუალური ფრაზები ახალგაზრდა დემოკრატიულ სახელმწიფოზე.

ასე რომ, სარჩელს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში არანაირი სერიოზული შედეგი არ ექნება. ქართველების დამადასტურებელი ბაზა მეტად საეჭვოა. ევროპელებმა ეს იციან. არ შემიძლია სასამართლოს გადაწყვეტილების პროგნოზირება, მაგრამ, ეჭვი არ მეპარება, გადაწყვეტილება იქნება ნეიტრალური, რომელიც განსაკუთრებით არ შეეხება რუსეთს, მაგრამ არც საქართველოს აწყენინებს დიდად.



**ანატოლი გრომიკო,** **მოძრაობის — „მსოფლიოს ახალი დემოკრატიული მართლწესრიგისა და გაეროს მხარდაჭერისთვის“ პრეზიდენტი:**

— თუ ფართოდ ვიმსჯელებთ, რუსეთს სამხრეთი ოსეთიდან და აფხაზეთიდან საქართველოს წასვლასთან არანაირი დამოკიდებულება არ აქვს. ხალხი გაურბოდა ომს, ძალადობას. ფესვი სისხლიანი კონფლიქტისა, რომელსაც დიდხანს ვერ დაივიწყებ, უნდა ვეძებოთ თბილისში და არა მოსკოვში.

ჩვენმა ხელმძღვანელობამ ამ სიტუაციაში გამოიჩინა გონივრული თავშეკავება. ეს მთლიანად საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკური საქმეა. გასამართლებელი ჩვენ არაფერი გვჭირს.

ჩვენ ქართველ ხალხთან ერთად ვცხოვრობდით მშვიდობიანად ასეული წლების განმავლობაში. იმედი მაქვს, თუ გათავხედებული პოლიტიკოსები ძალიან არ შეგვიშლიან ხელს, გარკვეული დროის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება.

### გაზეთის კომენტარი

ალბათ, საქართველოს ეს სარჩელი განსაკუთრებულ უსიამოვნებას არ უნდა გვპირდებოდეს. მაგრამ ეს ფაქტი სრულიად სხვაგვარად გამოიყურება, თუ მას განვიხილავთ არა ცალკე, არამედ სხვა მოვლენების გვერდით. უკანასკნელი რამდენიმე დღის მოვლენები კი ასეთია.

პოლონეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, პარტიის „კანონი და სამართლიანობა“ ლიდერმა იაროსლავ კაჩინსკიმ ხუთშაბათს გამოაქვეყნა წერილი, რომლითაც მიმართავს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ხელმძღვანელებს თხოვნით, დაიცვან ევროპის პატარა ქვეყნები რუსეთის „იმპერიული“ პოლიტიკისგან. ის გვაშინებს, რომ რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება ევროპის ისეთ „გრანდებთან“, როგორიცაა გერმანია, სერიოზულ დარტყმას აყენებს არა მხოლოდ მის ქვეყანას, არამედ მთლიანად ევროკავშირს, ამცირებს მის პოლიტიკურ წონას.

კიდევ უფრო შორს წავიდნენ სამურაების მემკვიდრეები. იაპონიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები გამოვიდნენ კურილიის კუნძულებზე რუსეთის პრეზიდენტის ჩასვლის წინააღმდეგ. ტოკიომ გამაფრთხილებლად განაცხადა, თუ ასეთი ვიზიტი შედგება, „რუსეთ-იაპონიის ურთიერთობაში წარმოიქმნება სერიოზული დაბრკოლებები“, ესე იგი მოითხოვდა ვიზიტის გაუქმებას.

ხელიდან არ გაუშვეს შესაძლებლობა — შეეტანათ თავიანთი წვლილი — ოკეანის გაღმაც. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა კარდინმა მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს, კანონმდებლურად დაადასტუროს ამ ქვეყანაში ჩასვლის აკრძალვა იმ 60-ზე მეტი რუსი ჩინოვნიკისთვის, რომლებსაც, მისი აზრით, ბრალი მიუძღვით იურისტ მაგნიტსკის საგამოძიებო იზოლატორში დაღუპვაში...

ერთი სიტყვით, სიტუაცია საგარეო საქმეებში სულაც არ უწყობს ხელს გულთბილობას. რასაკვირველია, ზოგიერთ წვრილმანზე შეიძლება მოახდინო რეაგირება გულგრილად. მაგრამ აი, მაგალითად, პოლონეთთან დამოკიდებულებაში ჩვენ ამ უკანასკნელ პერიოდში ვიქცევით რაღაც ზედმეტი მაამებლობითა და მოუსვენარი კეთილმოსურნეობით, რაზეც პოლონელები არაფრით არ გვპასუხობენ. უფრო სწორად, გვპასუხობენ გაუთავებელი პრეტენზიებითა და სულ უფრო მეტი მოთხოვნებით.

საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, მივუჩინოთ თავისი ადგილი ტოკიოს. იმის ნაცვლად, რომ ნათლად და ზუსტად განვაცხადოთ: არავითარი ტერიტორიული საკითხი არ არსებობს და აქ განსახილველიც არაფერია, ჩვენი მხრიდან ხშირად გაისმის რაღაც ბუნდოვანი მინიშნებანი კურილიის კუნძულებზე ერთობლივ მოქმედებათა შესახებ, რომლებსაც იაპონელები აღიქვამენ, როგორც მზადყოფნას დავიხიოთ უკან და ამკაცრებენ თავიანთ მოთხოვნებს, თავხედობამდეც კი მიდიან.

ასე რომ, სიმშვიდე მხოლოდ გვესიზმრება.

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

სხვა გაზეთიდან

# რწმენის საფლავები



## ქრისტიანული ეკლესია თანამედროვე ევროპაში

**უკანასკნელ წლებში ევროკავშირის ქვეყნების პოლიტიკოსები სულ უფრო ხშირად იხსენებენ ევროპის „ქრისტიანულ ფესვებს". ლიბერალური ღირებულებანი, რომლებიც განსაზღვრავდნენ ევროპულ იდენტურობას ცივი ომის წლებში, აღმოჩნდნენ იმდენად უნივერსალური, რომ ისლამიც კი იყენებს მათ ლიბერალიზმის საპირისპირო თავიანთ საკუთარ ღირებულებათა რეალიზაციისთვის.**

ამას გარდა, ევროპა დაიღალა განუწყვეტელი გაფართოებისგან, შეიგნო თავისი „უსაზღვრობის" მინუსები და გადაწყვიტა, დაადგინოს თავისი საზღვრები.

დიახ, საგარეოპოლიტიკური ევროპა იხსენებს თავის „ქრისტიანულ ფესვებს", მაგრამ შინაპოლიტიკურად ის ცდილობს, დაუგორდეს მას. ყველა შემთხვევაში სწორედ ასეთი შეგრძნება გიჩნდება, როდესაც ხედავ, როგორ უსწორდებიან თავიანთ ქრისტიანულ ეკლესიებს ეგრეთ წოდებული ევროპული ბირთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. განსაკუთრებით გამოირჩევა თავი გერმანელებმა: უკანასკნელი თვეების ცნობებს თუ დავუჯერებთ, შეიძლება შეგვექმნას შთაბეჭდილება, რომ „ქრისტიანულ ფესვებს", ყოველ შემთხვევაში გერმანიაში მაინც, უკვე დიდი ხანია აღარ აქვთ საკვები – ერთ დროს ძლიერი, მწვანე ხის ადგილზე დარჩა კუნძი, თანაც დამპალი. „ეკლესიის მორალური ლეტარგია", „ეკლესიის უსუსურობა", „რა ელოდება ეკლესიას?" – ასეთი სათაურები განსაზღვრავდნენ გერმანიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობებს. თითქოსდა, საზოგადოებრიობა უკანასკნელ პერიოდში მხოლოდ იმას აკეთებს, რომ ზურგს აქცევს ეკლესიას, მორწმუნეთა რაოდენობა კი, რომლებიც ტოვებენ მის წიაღს, სულ უფრო იზრდება. მაგრამ სინამდვილეში ეს არც ისე ასეა.

თანამედროვე გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრება მაინც წარმოუდგენელია მისი ორი ქრისტიანული ეკლესიის –კათოლიკურის და პროტესტანტულის გარეშე.

სწორია, რომ გერმანიაში, ისევე როგორც „ძველი ევროპის" ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, სულ უფრო ცოტაა აქტიური („გაეკლესიურებული") ქრისტიანი, ისლამი კი სულ უფრო ძლიერი ხდება. სწორია ისიც, რომ ახალი მეჩეთები ზოგჯერ უფრო ლამაზია ახალ ეკლესიებზე. ვატიკანის მეორე ტაძრის (შეკრების) შემდეგ სავალდებულო წესები კათოლიკური ეკლესიების მშენებლობისთვის აღარაა. არქიტექტორს შეუძლია წარმოადგინოს თავისი თავი მისთვის გამოყოფილ სახსრების ფარგლებში და პოლიტიკური კორექტირების ჩარჩოებში – საეკლესიო შენობამ არ უნდა შეურაცხყოს სხვა კონფესიების მორწმუნეთა გრძნობები. ამიტომ თანამედროვე ეკლესიები გერმანიაში ზოგჯერ ბუნკერებს, ზოგჯერ კი უბრალო ყუთებს ჰგავანან. მათში სულს არ უხარია, ისე კი თითქოს თავის მოვალეობას ასრულებს. და ასეთი ეკლესიებიც იკეტება, აი ახალი მეჩეთები კი სულ უფრო და უფრო მეტია.

ეს განსაზღვრულია არა მხოლოდ დემოგრაფიული სიტუაციით: შობადობის შემცირებამ გავლენა მოახდინა გერმანელების სწორედ იმ ფენაზე, რომელიც ტრადიციულად ეკლესიის აქტიურ საყრდენად ითვლებოდა. გერმანიის პატარა ქალაქებსა და სოფლებში ძლიერ, საშუალო ფენის მრავალშვილიან ოჯახებში იზრდებოდნენ ბავშვები, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ოჯახი შეიძლება დააფუძნო მხოლოდ მაშინ, როდესაც მიაღწევ სტაბილურ ქონებრივ მდგომარეობას. და ვინაიდან თანამედროვე კაპიტალიზმი უპირატესობას ანიჭებს ნებისმიერი დაქირავებულის, მათ შორის მაღალკვალიფიციური შრომის ინდივიდუალიზაციას, ახალგაზრდები მუდმივი სამუშაო ადგილების ნაცვლად ღებულობენ მხოლოდ დროებით კონტრაქტებს, რომლებიც არ აძლევენ მათ არც მყარ სოციალურ კავშირებს, არც პროფესიულ პერსპექტივებს, არც ხანგრძლივი ვადის სტაბილურობის პერსპექტივებს. ამიტომ „საშუალო ფენის" ბავშვები, რომლებიც მომწიფებულ ცხოვრებაში 90-იანი წლების დასაწყისში შევიდნენ, უმეტესწილად დარჩნენ უშვილონი ანდა შემოიფარგლნენ ერთი შვილით. მოსახლეობა ივსებოდა ან მუსლიმანური იმიგრაციის, ან იმ შეძლებული ფენის ხარჯზე, რომელსაც მორიდებით „პრეკარიატებს" უწოდებენ, რათა არ აღიარონ, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ყოფილი „სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოში" წარმოიქმნა მარგინალების ძლიერი, თვითკმაყოფილი ფენა.

გაეკლესიურებულ ქრისტიანებში მათ შორის ძალიან ცოტაა, მათი დამოკიდებულება ეკლესიისადმი წმინდა მომხმარებლურია: უფასო ტანსაცმელი კათოლიკური „ქარიტასიდან", უფასო ავეჯი პროტესტანტული „დიაკონიიდან". დიდი ქალაქების პანელურ, „საძინებელ" რაიონებში, სადაც ტელევიზორებთან, სათამაშო კომპიუტერებთან და ლუდის მაგიდებთან მკვიდრად ჩაჯდა „ქვედა ფენა", ეკლესიის აქტიური ცხოვრება არ იგრძნობა: იქამდე მიდის მხოლოდ მისი ქველმოქმედება, რომელსაც აღიქვამენ, როგორც ჩვეულებრივ ამბავს.

ახალგაზრდა გერმანელები, რომლებიც, თუ გერმანიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დავუჯერებთ, სულ უფრო ხშირად ღებულობენ ისლამს, უფრო მეტიც, ხდებიან რადიკალური ისლამისტების მომხრეები, როგორც წესი, გაიზარდნენ დიდი ქალაქების პრობლემატურ რაიონებში. მათ ზურგი არ შეუქცევიათ ქრისტიანული ეკლესიისთვის – მათ უბრალოდ არ იცოდნენ იგი.

მაგრამ კათოლიკური სამხრეთის – ბავარიის, რეინლანდიის კეთილსაიმედო ქალაქებში, პროტესტანტული ჩრდილოეთის სოფლებში ყოველდღიური ცხოვრება ძველებურად და უმთავრესად მიმდინარეობს ადგილობრივი საეკლესიო თემობის გარშემო. აქ მორწმუნეები არა მხოლოდ ასრულებენ რელიგიურ წესჩვეულებებს, არამედ აწესრიგებენ დასვენებასაც: მუშაობენ ჯგუფები პატარებისთვის და ქრისტიანული სკაუტები მოზრდილი ბავშვებისთვის, იკრიბება მომღერალთა გუნდი, იკვრება ნებაყოფლობითი ორგანიზაციები სახანძრო დაცვის დასახმარებლად, ეწყობა მოგზაურობანი. ადგილობრივ საეკლესიო სათემოსთან ყოფნა მჭიდროდ ჰკრავს ადამიანებს, ერთი მხრივ, აკავშირებს მათ მსოფლიოს საქრისტიანოსთან, მეორე მხრივ – აყალიბებს მცირე სამშობლოსა და ღირებულებათა გრძნობებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული ცვალებად პოლიტიკურ კონიუნქტურასთან.

> ***თანამედროვე ეკლესიები გერმანიაში ზოგჯერ ბუნკერებს, ზოგჯერ კი უბრალო ყუთებს ჰგვანან. მათში სულს არ უხარია, ისე კი თითქოს თავის მოვალეობას ასრულებს. და ასეთი ეკლესიებიც იკეტება, აი ახალი მეჩეთები კი სულ უფრო და უფრო მეტია.***

პირველები, ვინც მოგებული რჩებიან სოციალურ ურთიერთკავშირის სისტემაში ინტეგრაციით, რასაც უზრუნველყოფს საეკლესიო სათემო, – ბავშვები არიან. იმ პირობებში, როდესაც უფასო საბავშვო დასვენებას უკვე სახელმწიფო აღარ აწყობს, და ის გადაცემულია კომუნალური ხელისუფლების იჯარა-შესყიდვაზე, რომლებიც ეკონომიას სწევენ, სადაც კი შესაძლებელია, როდესაც „სოციალურ პროექტებს" აფინანსებენ მონარჩენი სახსრებისგან, ეკლესიის სოციალური საქმიანობა ავსებს მნიშვნელოვან ნიშს. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიებსაც უწევთ სახსრების ეკონომია, ისინი ცდილობენ მოაწყონ დასვენება ბავშვებისთვის მაინც.

და ამ დროს სწორედ ბავშვების გამო გერმანიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ესხმიან თავს თავიანთ ქრისტიანულ ეკლესიას. თითქმის ერთი წელიწადია, რაც გერმანიის პრესა და ტელევიზია შეუნელებელი ინტერესით, თითქმის ავხორცულად, ატრიალებს ეკლესიის კედლებში პედოფილური ძალადობის თემას. განხილვის ინტენსიურობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ საზოგადოებრიობამ ქრისტიანული ეკლესიის აღქმა დაიწყო უპირატესად „ძალადობისა და ბოროტად გამოყენების" პრიზმაში.

მედიის შეტევა პირველ რიგში მიმართული იყო კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ: ჟურნალისტების რწმენით, რომლებიც თანამედროვე, სექსუალიზირებულ საზოგადოებაში გაიზარდნენ, ცელიბათს (კათოლიკური მღვდლების დაუქორწინებლობის აღთქმას) მივყავართ სექსუალურ გარყვნილობასთან, აქცევს, თითქოს, ამ მღვდლებს მოწიკწიკე ბომბებად. მეორე მიზეზი იმისა, თუ რატომ ესხმიან თავს კრიტიკოსები სწორედ კათოლიკებს, არის ის, რომ კათოლიკური ეკლესიის ბერმონაზვნობის ორდენს ბავშვებთან მუშაობის დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ისინი ინახავენ საბავშვო სახლებს, სკოლებს, კოლეჯებს, სწავლების დონე, როგორც წესი, მაღალია. იეზუიტებთან განათლების მიღება პრესტიჟულად ითვლება. პროტესტანტულ ეკლესიას ასეთი ტრადიციები არ გააჩნია.

სკანდალი, რომელმაც უკანასკნელ თვეებში საბაბი მისცა მედიის კამპანიას, დაიწყო იმით, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში ბერლინში იეზუიტური კოლეჯის დირექტორმა ისაუბრა 70-იან წლებში მოსწავლეებზე ძალადობის შემთხვევების შესახებ და საგაზეთო ინტერვიუში უსაყვედურა ეკლესიას „ჰომოფობია" და ის, რომ იგი „ჩამორჩება თანამედროვეობას სექსის საკითხებში". იმავე თვეში რომის პაპმა ოფიციალურად დაგმო მღვდლები, ვინც ხრწნიდნენ ბავშვებს. ამის შემდეგ ერთი-მეორის მიყოლებით გადადგნენ კათოლიკური სასწავლებლების დირექტორები, ეკლესიამ კი დაიწყო თავისი რიგების წმენდა და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მზადაა ითანამშრომლოს პროკურატურასთან ძალადობის ყველა შემთხვევის გამოძიებისთვის.

ამ დროისთვის სექსუალურ საკითხებს დაემატა სხვა რამეც: თურმე, 60-იან წლებში ზოგიერთ კათოლიკურ თავშესაფარში სჯიდნენ როზგებით. იმ წლებში სხეულზე ცემით დასჯა არ იყო აკრძალული. ამ სახით ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა ერთბაშად გაიზარდა. ტელეეკრანებზე დაიწყეს გამოჩენა ხანდაზმულმა ადამიანებმა, რომლებიც ყვებოდნენ, თუ კათოლიკურ თავშესაფრებში როგორ ამახინჯებდნენ მათ ცხოვრებას. პოლიტიკოსებმა წამოწიეს საჭირბოროტო თემა – ეკლესიისგან მოითხოვდნენ „ფინანსურ კომპენსაციას" იმ მსხვერპლისთვის, ვინც დაზარალდა ბოროტი მოძღვრებისგან.

> ***ამ დროს მრევლი დუმს. მედიის შეტევამ ეკლესიაზე გარკვეული დროის განმავლობაში ფეხქვეშ მოიქცია ყველაფერი კარგი, რაც ადგილებზე საეკლესიო სათემოებში კეთდება. ეკლესიის აღქმა საერო საზოგადოებაში გარკვეულ პერიოდში განისაზღვრა მასზე გადმოღვრილი ნეგატივის ნაკადით. მაგრამ ამ ნაკადის წინააღმდეგ თითქმის არავინ მიდიოდა, ეკლესიის დასაცავად ძალიან ცოტა რამ თუ ითქვა.***

პროტესტანტებმა დაიწყეს წუხილი, რომ გერმანიის კათოლიკური ეკლესიის მძიმე ბრალდება გავლენას ახდენს მათს რეპუტაციაზეც.

ერთი მხრივ, პედოფილია შეიძლება შეგხვდეს ყველგან, სადაც უფროსები მუშაობენ ბავშვებთან – საეკლესიო საბავშვო სახლებსაც და სკოლებსაც ეხებოდა ეს ცოდვა და არც იმაზე მეტად, ვიდრე მაღალი წრისას: პედოფილებს უნდათ იმუშაონ იქ, სადაც მათ შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი მიდრეკილების რეალიზაცია. მაგრამ ეკლესიას განსაკუთრებული მორალური დატვირთვა ეკისრება – ამიტომ მომთხოვნელობაც მისადმი უფრო მკაცრია. ივლისის შუა რიცხვებში ვატიკანმა გაამკაცრა საკუთარი საეკლესიო უფლება მოძალადეების მიმართ. მათი დანაშაულის სიშორის ვადა ათიდან თორმეტ წლამდე გაიზარდა, ამას გარდა რომის პაპი აჰყრის მათ სამღვდელოების ღირსებას, საერო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე მათი ბრალეულობის შესახებ.

პრაქტიკულად ძალადობის ყველა შემთხვევა, რაც ამჟამად ცნობილი გახდა, მოხდა დიდი ხნის წინათ – სადღაც 60-იან და 80-იან წლებს შორის. ხალხი, ვინც ბავშვობის ასაკში დაზარალდა, დგას მომწიფებულობასა და სიბერეს შორის. თავიანთი წყენა მხოლოდ ახლა გამოანთხიეს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოიყენეს ეს ეკლესიაზე შეტევისთვის.

სამოქალაქო სამართალში დასჯა ინდივიდუალურია: რამდენი პედოფილიც უნდა გამოააშკარავოს და რამდენიც უნდა დასაჯოს სასამართლომ საბავშვო სახლებში, ინტერნატებში ჩადენილი დანაშაულისთვის – არავის მოუვა აზრად ეჭვის ქვეშ დააყენოს საბავშვო სასწავლებლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მთელი სისტემა და თითოეული აღმზრდელი. დაუდევარი მღვდლების დანაშაულებებისთვის გერმანიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კი შეეცადნენ პასუხისმგებლად ექციათ ქრისტიანული ეკლესია, როგორც სისტემა, ყოველ შემთხვევაში ამ ქვეყნის ფარგლებში მაინც.

გერმანიაში მისი „განსაკუთრებული წარსულით" (იგულისხმება ჰიტლერიზმის წლებიძ 60-იანი წლების ბოლოდან ჩამოყალიბდა და მოქმედებს მემარცხენე ლიბერალური ინტელექტუალების ფენა, რომელიც ამ „წარსულს" იყენებს როგორც საფრთხობელას საკუთარი თავისუფალი თვალსაზრისის დასადასტურებლად სექსუალური მორალის საკითხებზე და არა მარტო მათზე. ვინაიდან ეს ინტელექტუალური ფენა არ ამოიწურება სექსოლოგებითა და ფსიქოლოგებით, არამედ მოიცავს მასწავლებლებსაც, პოლიტიკოსებსაც და ჟურნალისტებსაც, გასაგებია პრესაში მიზანმიმართული პუბლიკაციების მკაცრი ტონიც. თავის დროზე ეკლესია გამოდიოდა სექსუალური თავისუფლების წინააღმდეგ – ახლა კი ახალმა ინფორმაციამ მისცა კრიტიკოსებს საბაბი, ზიანი მიაყენოს მას სწორედ ამ გზებზე, დასდოს ბრალი პირფერობაში, გარყვნილობასა და ძალადობაში.

თემა კარგად ჩაჯდა „პოლიტკორექტულობის" ჩარჩოში, რომელიც სეკულარულ გერმანიაში ქრისტიანულ მცნებებზე ძლიერია. ქრისტიანულდემოკრატიულ პარტიაშიც არის „ჰომოსექსუალისტთა და ლესბოსელთა სამუშაო წრე". ეკლესიის მახლობელ პოლიტიკურ წრეებში, თავად ეკლესიის შიგნითაც კი, თემა გამოიყენეს უკმაყოფილოებმა და „მოდერნიზატორებმა", რომლებიც მოუწოდებენ „დაუახლოონ ეკლესია თანამედროვეობას", ესე იგი, გახსნან იგი არატრადიციული ორიენტაციებისთვის.

ამ დროს მრევლი დუმს. მედიის შეტევამ ეკლესიაზე გარკვეული დროის განმავლობაში ფეხქვეშ მოიქცია ყველაფერი კარგი, რაც ადგილებზე საეკლესიო სათემოებში კეთდება. ეკლესიის აღქმა საერო საზოგადოებაში გარკვეულ პერიოდში განისაზღვრა მასზე გადმოღვრილი ნეგატივის ნაკადით. მაგრამ ამ ნაკადის წინააღმდეგ თითქმის არავინ მიდიოდა, ეკლესიის დასაცავად ძალიან ცოტა რამ თუ ითქვა. მღვდლები და მრევლის რიგითი წევრები გვიხსნიდნენ, რომ მათ არც წინააღმდეგ წასვლა უნდათ და არც თავის მართლება: თავიანთი სათემოს მუშაობა მათ იციან და მათთვის მთავარია – სწამდეთ, იცოცხლონ და აკეთონ სიკეთე, და არა იბრძოლონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წინააღმდეგ.

თანამედროვე ევროპა თავის „ქრისტიანულ ფესვებს" იხსენებს უწინარეს ყოვლისა საგარეო პოლიტიკაში, როდესაც ფიქრობს იმაზე, თუ ვინ შეიძლება იქნეს მიღებული ევროკავშირში და ვინ აჯობებს რომ არ მიიღონ. მაგრამ გლობალიზაციისკენ მიმავალ მსოფლიოში შეიძლება დაიკარგო შენსავე ქვეყანაში – ისლამურ სათემოებს, აგრესიულ სექტებს, პროგრესულ ათეისტებს შორის და უთვისტომო მასობრივ კულტურაში.

**სვეტლანა პოგორელსკაია**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

ჭადრაკი

# სუპერგუნდის დაამარცხეს

**ბულგარულ პლოვდივში, სადაც მოჭადრაკეთა საკლუბო ჩემპიონატები მიმდინარეობს, ქალებში რეიტინგფავორიტია მონაკოს „მონტე კარლო“, რომელიც, ფაქტობრივად, მსოფლიოს ნაკრებს წარმოადგენს.**
ყოველივეს მიუხედავად, შეჯიბრების მეორე ტურში ქართველებმა სუპერკლუბს 2,5:1,5 სძლიეს. მაია ჩიბურდანიძე ინდოელ ჰამფი კონერუს დაუზავდა, სალომე მელიამ და ნინო ხურციძემ, შესაბამისად, სლოვენიელი ანა მუზიჩუკი და შვედი ორგზის ევროპის ჩემპიონი პია კრამლინგი დაამარცხეს, ლელა ჯავახიშვილს კი ჩინელმა ჰოუ იფანმა (ჩინეთი) აჯობა. მონაკოელთა შემადგენლობაში ყველა მოჭადრაკე მსოფლიო კლასიფიკაციის პირველ ათეულში შედის.


ნინო ხურციძე და პია კრამლინგი

მეორე ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: AVS (რუსეთი) — ბას ბელგრადი 3:1, „მიკა“ (ერევანი) — „პეტერბურგი“ (რუსეთი) 3:1, „ჰიდრორეჩტრანსი“ (რუსეთი) — „ოსლო“ (ნორვეგია) 3,5:0,5, „ფოლკსბანკი“ (გერმანია) — „აშდოდი“ (ისრაელი) 2,5:1,5, „ფიშერ კეიტი“ (იტალია) — „კომარანო“ (სლოვაკეთი) 3:1, „ჰერცლია“ (ისრაელი) — „ლოკომოტივი“ (ბულგარეთი) 2:2.

ორი ტურის შემდეგ „სამაია“, „მიკა“, AVS და „ჰიდრორეჩტრანსი“ დაწინაურდნენ. სულ ჩემპიონატზე შვიდი ტური გათამაშდება.

**გივი გაგუა**

მძლეოსნობა

# გოგოჭურის ახალი სიმაღლე

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დამთავრდა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თასის გათამაშება, რომელშიც 21 ქალაქისა და რაიონის 250 წარმომადგენელი მონაწილეობდა. პირველობისთვის მასპინძლებთან ერთად სომხეთიდან 5 სპორტსმენიც ასპარეზობდა. მათ შორის სევაკ ეგინიანმა 3000 და 5000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა.**


ლაშა ღულელაური

მასპინძელთაგან განსაკუთრებით სიმაღლეზე მხტომელმა ზურაბ გოგოჭურმა (მწვრთნელი სერგო ძურძუკიძე) იყოჩაღა. იგი 210 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და წლეულს ზამთრის ეროვნულ ჩემპიონატზე დამყარებული პირადი რეკორდი 5 სანტიმეტრით გააუმჯობესა. ისევ გამოირჩა ახმეტელი ლაშა ღულელაური. მან სამხტომში პირველი ადგილი დაიკავა, სიგრძეზე ხტომაში კი მეორე იყო. 15 წლის ქუთაისელმა სალომე სირაძემ ისევ მოიგო სპრინტერული დისტანციები (100 და 200 მ.). უფროსებში პირველად ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 17 წლის განა ხორავა, რომელმაც 100 მეტრზე რბენაში იყო პირველი.


ზურაბ გოგოჭური

გაუწყებთ დანარჩენ გამარჯვებულთა ვინაობას: **ქალები:** მაია გოგოლაძე (100 მ/თარჯრბენი), თეა ფაცურია (400 და 400 მ/თ), გაიანე უსტიანი (800 და 1500 მ), გიული დეკანაძე (3000 და 5000 მ), თათია პაიკიძე (სიგრძეზე ხტომა), სოფიო მაჭავარიანი (სიმაღლეზე ხტომა), სალომე რიგიშვილი (ბირთვი და ბადრო), ნათია გიგაური (შუბი). **ვაჟები.** დავით ილარიანი (110 მ/თ), ენდრიკ ზილბერტშტეინი (200 და 400 მ), გიორგი ზილბერტშტეინი (400 მ/თ), ანდრანიკ მატინიანი (800 და 1500 მ.), ჯეირან ხოფერია (3000 მ. წინაალმდეგობებით), ბოლისლავ სხირტლაძე (სიგრძეზე ხტომა), ბენიკ აბრამიანი (ბირთვი და ბადრო), ვასილ ელანიძე (შუბი).

**საერთო გუნდური: I ჯგუფი.** 1. თბილისი (502 ქულა), 2. ახალციხე (380), 3. ქუთაისი (344); **II ჯგუფი.** 1. ვანი (109), 2. ახმეტა (99), 3. თიანეთი (98,5).

**ვაჟა ვლადიმერიძე**
**ავტორის ფოტო.**

ფეხბურთი

# შვიდი წუთის ელვარება


თბილისი 17 წლის ფეხბურთელთა ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირს მასპინძლობს.

**საქართველოს ნაკრებთან ერთად მეორე ეტაპზე გასასვლელად პოლონეთი, ინგლისი და შვედეთიც იბრძვის. კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდები ეროვნულ სტადიონზე პოლონელებს დაუპირისპირდნენ.** ანგარიში მე-12 წუთზე ენდელაძემ გახსნა. სამიოდ წუთში ურიგამ თერთმეტმეტრიანით წონასწორობა აღადგინა. მე-18 წუთზე არაბულმა თავისიანები კვლავ კვლავ დააწინაურა. ფაქტობრივად, ამ შვიდ წუთში დამთავრდა სანახაობრივი ფეხბურთი, რადგან გოლების შემდეგ მეტოქეები უმთავრესად მოედნის ცენტრში ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას და არც ერთ კართან სახიფათო მომენტი არ შექმნილა.

მიხეილ მესხის სტადიონზე ბრიტანელებმა გაილაღეს: კუნძულელებმა შვედების კარში სამი უპასუხო ბურთი (ჰოუპი (2), პაუელი) გაიტანეს და გათამაშების ცხრილში პირველი სამი ქულა ჩაიწერეს. დღეს სწორედ საქართველო და ინგლისი შეხვდება ეროვნულზე, „ლოკომოტივი“ კი პოლონეთი-შვედეთის პაექრობას უმასპინძლებს.

რეგიონი

# მკლავჭიდსა და „მენჩურუაში“

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით მკლავჭიდში რაიონის ღია პირველობა გაიმართა.** 31 სპორტსმენი ხუთ წონით კატეგორიაში ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გელა პაპავა (70 კგ.), ირაკლი წახნაგია (80), აკაკი ბაძაღუა (90), როჩო გახარია (100 და აბსოლუტური). უფრო ადრე კი ხალხურ ტრადიციულ თამაშობა „მენჩურუაში“ (წყალჭიდი) გამოვლინდნენ საუკეთესოები. ამ შეჯიბრებაში ადგილობრივებთან ერთად როგორც მიმდებარე რაიონების, ისე მუხურაში სტუმრად ჩასული ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ.



საინტერესო პაექრობების შემდეგ პირველობა რუსთაველ თამთა სიჭინავას, სენაკელ ირაკლი ტყემალაძესა და მასპინძლებს — ბაკურ გახარიას, ირაკლი ცირამუას, ბაჩო გახარიასა და მიხეილ დადიანს ხვდათ.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

**ნიკა ძაძამია**

ძიუდო

# ტატამზე — ახალგაზრდები



**მაროკოს ქალაქ აგადირში 21-24 ოქტომბერს ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიო პირველობა გაიმართება. მთავარი მწვრთნელის — გიორგი გუგავას ხელმძღვანელობით გუშინ შეჯიბრებაზე 16 ქართველი მოჭიდავე გაემგზავრა (საგულისხმოა, რომ სექტემბერში ევროპის ჩემპიონობა ოთარ კაიდარაშვილმა და ავთანდილ ჭრიკიშვილმა მოიპოვეს, გიორგი ნოზაძე კი მეორე ადგილზე გავიდა).** ესენი არიან: ოთარ კაიდარაშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი (ორივე — 55 კგ.), გიორგი ბროლაშვილი, შმაგი ლაგაზაური (60), ლაშა შავდათუაშვილი, ლაშა ლომიძე (66), ზებედა რეხვიაშვილი, ლაშა ზურაბიანი (73), ავთანდილ ჭრიკიშვილი, გიორგი მერმანიშვილი (81), გიორგი ნოზაძე, არჩილ შინჯიკაშვილი (90), ონისე ბულაძე, გიორგი კობერიძე (100), უშანგი კოკაური, ლევან მათიაშვილი (+100). გოგონებიდან მხოლოდ შორენა შარაძე (63) იასპარეზებს.

**ლაშა დიდია**

# ევროპაში საუკეთესონი

**საერთოდ, ტრადიციად იქცა წლის ბოლოს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში საუკეთესო სპორტსმენების დასახელება. როგორც ჩანს, ევროპის მძლეოსნობის ფედერაციამ ახლა ყველას დაასწრო ამ მხრივ. ევროპის საუკეთესო ათლეტებად მიიჩნიეს ფრანგი სპრინტერი კრისტოფ ლემეტრი და ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი ბლანკა ვლასიჩი. ლემეტრიმ ამ სეზონში ორჯერ გაარღვია 10-წამიანი ზონიდან, ევროპის ჩემპიონატზე ბარსელონაში მოიპოვა სამი ოქროს მედალი.**



ვლასიჩმა ასევე მოიპოვა ჩემპიონობა ბარსელონაში, გაიმარჯვა „ბრილიანტის ლიგაში“, ხოლო სექტემბერში სპლიტში საკონტინენტო თასზე გაიმარჯვა სიმაღლეზე მხტომელთა ტურნირში, გაიმეორა რა სეზონის საუკეთესო მიღწევა მსოფლიოში — 2,05 მეტრი.

„ამომავალი ვარსკვლავების“ ნომინაციაში დააჯილდოვეს ხორვატი ბადროსმტყორცნელი სანდრა პერკოვიჩი და ფრანგი სამმაგმხტომელი თედი ტამგო, მსოფლიო რეკორდსმენი რომ გახდა დარბაზში — 17,90 მ.

ინტერნეტიდან

## კონდიტერები — „იუვენტუსის“ მხარდამჭერები

**იტალიური „იუვენტუსის“ ახალი სპონსორი გახდა საკონდიტრო კომპანია Balocco. მისი ლოგოტიპი განთავსდება გუნდის საგარეო ფორმაზე. ეს ერთწლიანი კონტრაქტი იქნება.**



ჯერ კიდევ აპრილში „იუვენტუსის“ თავკაცებმა განაცხადეს, რომ გეგმავენ სხვადასხვა კომპანიების ლოგოტიპების განთავსებას საგარეო და საშინაო ფორმებზე. მაგრამ სეზონის დასაწყისისთვის კლუბმა სპონსორი იპოვა მხოლოდ საშინაო ფორმისთვის. ერთი თვის წინათ კომპანია — სპონსორის Betclic ლოგოტიპი განათავსეს საგარეო ფორმაზე, რათა დაეფარათ შესაფერისი პარტნიორის უყოლობა.

მსგავსი პრობლემა აქვს „იუვენტუსს“ თავისი 40-ათასადგილიანი სტადიონისთვისაც.

## მელიტამ ფეხბურთი დაივიწყა?

**გასაოცარია, მაგრამ იტალიელი ლამაზმანი და მოდელი მელიტა ტონიულო, ერთ-ერთი მედია კომპანიის სახედ რომ ჩათვალეს, სულ უფრო და უფრო შორდება სპორტს. უფრო ზუსტად, სპორტსმენებს, რომლებიც ქალიშვილს ძალზე უყვარდა და თავგზას უბნევდა მათ. ასე რომ, ეშმაკუნას ახალი შეყვარებული გახდა მომღერალი ტომას დე გასპერი — აპენინებზე პოპულარულ შოუში „აბსოლუტური ნოლი“ რომ მონაწილეობდა.**



ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს — მელიტა წამყვანი იყო, ტომასი კი — სტუმარი. შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი მიმოწერა. ორივეს აშინებდა სხვადასხვა ქალაქში ცხოვრება და მანძილი. თუმცა, როგორც მელიტამ თქვა, ნებისმიერი პრობლემის მოგვარება შეიძლება, რაშიც ტომასიც დაარწმუნა. თუმცა მისთვის არ უკითხავს, თუ ვისი გულშემატკივარია ის, თავად კი მილანის „ინტერის“ მგზნებარე გულშემატკივარი იყო. მაისში ჩემპიონთა ლიგის ფინალში მისი გამარჯვების გამო კი ძალზე პიკანტურ ფოტოსესიაშიც გადაიღეს. მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ტომასი „რომას“, „ლაციოს“ ან „იუვენტუსის“ ქომაგი აღმოჩნდეს.

საქმე №3/300-2010 წ.

## განჩინება

### სასამართლო შეტყობინების საჯარო გავრცელების შესახებ

11 ოქტომბერი 2010 წელი. ქ. ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

**მოსამართლე გოჩა აბუსერიძე**
**მოსარჩელე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.**
**მოპასუხე – მირზა შარუხია.**
**დავის საგანი – ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრება.**

**გამოარკვია:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე მირზა სიმონის ძე შარუხიას მიმართ და ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მოპასუხის მირზა სიმონის ძე შარუხიას საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ქ. ქუთაისი, გუგუნავას 15, №3, ბ. №90.

სასამართლო კურიერის მიერ წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში აღნიშნულია, რომ მირზა სიმონის ძე შარუხია მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

საქმეში არსებული სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით მირზა სიმონის ძე შარუხია რეგისტრირებულია ქ. ქუთაისი, გუგუნავას 15, №3, ბ. №90-ში.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესი კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ გაზეთის მეშვეობით. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება მოპასუხე მირზა სიმონის ძე შარუხიასათვის სასამართლო უწყების ჩაბარება, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვა.

სასამართლო აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევს გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. განჩინება სასამართლოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.
2. ეცნობოს მოპასუხე მირზა სიმონის ძე შარუხიას, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მირზა სიმონის ძე შარუხიას მიმართ ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.
3. ეცნობოს მოპასუხეს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მირზა სიმონის ძე შარუხიას მიმართ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია 2010 წლის 29 ოქტომბერს 11:00 საათზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, III სართული, დარბაზი №5ძ.
4. განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მოსარჩელეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.
5. სასამართლო შეტყობინება მოპასუხე მირზა სიმონის ძე შარუხიაზე ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**მოსამართლე გოჩა აბუსერიძე**

---

საქმე №3/302-2010 წ.

## განჩინება

### სასამართლო შეტყობინების საჯარო გავრცელების შესახებ

11 ოქტომბერი 2010 წელი. ქ. ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

**მოსამართლე გოჩა აბუსერიძე**
**მოსარჩელე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო**
**მოპასუხე – გიგა ზაურის ძე დვალი.**
**დავის საგანი – ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრება.**

**გამოარკვია:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე გიგა ზაურის ძე დვალის მიმართ და ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მოპასუხე გიგა ზაურის ძე დვალის საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას გამზ. №20.

სასამართლო კურიერის მიერ წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში აღნიშნულია, რომ გიგა ზაურის ძე დვალი მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

საქმეში არსებული სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით გიგა ზაურის ძე დვალი რეგისტრირებულია ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას გამზ. №20-ში.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ გაზეთის მეშვეობით. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება მოპასუხე გიგა ზაურის ძე დვალისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვა.

სასამართლო აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევს გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.
2. ეცნობოს მოპასუხე გიგა ზაურის ძე დვალს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი გიგა ზაურის ძე დვალის მიმართ ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.
3. ეცნობოს მოპასუხეს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო გიგა ზაურის ძე დვალის მიმართ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, სასამართლოს მთავარის სხდომა დანიშნულია 2010 წლის 29 ოქტომბერს, 12:00 საათზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, III სართული, დარბაზი №5ძ.
4. განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მოსარჩელეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.
5. სასამართლო შეტყობინება მოპასუხე გიგა ზაურის ძე დვალზე ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**მოსამართლე გოჩა აბუსერიძე**

---

საქმე №3/303-2010 წ.

## განჩინება

### სასამართლო შეტყობინების საჯარო გავრცელების შესახებ

11 ოქტომბერი 2010 წელი. ქ. ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

**მოსამართლე გოჩა აბუსერიძე**
**მოსარჩელე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.**
**მოპასუხე – გიორგი ადამაძე.**
**დავის საგანი – ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრება.**

**გამოარკვია:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე გიორგი ანზორის ძე ადამაძის მიმართ და ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მოპასუხის გიორგი ანზორის ძე ადამაძის საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №36, ბ. 68.

სასამართლო კურიერის მიერ წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში აღნიშნულია, რომ გიორგი ანზორის ძე ადამაძე მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

საქმეში არსებული სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით გიორგი ანზორის ძე ადამაძე რეგისტრირებულია ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №36, ბ. 68-ში.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ გაზეთის მეშვეობით. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება მოპასუხე გიორგი ანზორის ძე ადამაძისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვა.

სასამართლო აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევს გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.
2. ეცნობოს მოპასუხე გიორგი ანზორის ძე ადამაძეს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი გიორგი ანზორის ძე ადამაძის მიმართ ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.
3. ეცნობოს მოპასუხეს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო გიორგი ანზორის ძე ადამაძის მიმართ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია 2010 წლის 29 ოქტომბერს 11:00 საათზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, III სართული, დარბაზი №5ძ.
4. განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მოსარჩელეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.
5. სასამართლოს შეტყობინება მოპასუხე გიორგი ანზორის ძე ადამაძეზე ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**მოსამართლე გოჩა აბუსერიძე**

---

## არბიტრაჟის უწყება (შეტყობინება)

### საქმე №53-2010

**თქვენ, მანანა ნიშნიანიძეს, ქუთაისი, მგალობლიშვილის №3 და სვეტლანა კვანჭიანს, ქუთაისი, პუშკინის მე-2 შესახვევი №14, გიბარებთ მოპასუხის სახით საარბიტრაჟო სხდომაზე 2010 წლის 29 ოქტომბერს, 14.00 საათზე, საქმეზე ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელის გამო ნატალია გრძელიშვილის და სხვათა მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ, მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №50, მე-2 სართული.**

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

---

**აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებას გამოხატავს**

**ირინა ცომაიას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

---

**ინფორმაცია**

## ახალი ფსიქიატრიული სეპარატისტებისთვის

**ე.წ. სამხრეთ ოსეთში ფსიქიატრიული საავადმყოფოს არარსებობის პრობლემა მალე გადაწყდება. ინფორმაციას ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი ავრცელებს.**

**კერძოდ, სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. ჯანდაცვის მინისტრი ოთარ გასიევი აცხადებს, რომ რესპუბლიკური საავადმყოფოს ერთ-ერთი კორპუსი, სადაც ადრე ნევროლოგიური განყოფილება იყო განთავსებული, ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ გადაკეთდება.**

**მისივე თქმით, სარემონტო სამუშაოებისათვის უკვე მომზადებულია დოკუმენტაცია 3 მილიონ 900 ათას რუსულ რუბლზე.**

## ◉ დაიჯესტი

### პატივმოყვარე მკურნალი



შუა საუკუნეების ექიმი ფილიპ აურეოლ თეოფასტ ბომბასტ ფონ ჰოჰენჰაიმი დიდი პატივმოყვარეობით გამოირჩეოდა. იგი თავს უდიდეს მკურნალად და მედიცინის მცოდნედ მიიჩნევდა, ამიტომაც ფსევდონიმი „პარაცელსი“ აირჩია, რაც „ცელსის დარს“ ნიშნავს. ანტიკურ ფილოსოფოსსა და ექიმ ავლუს ცელსს თეოფასტ ჰოჰენჰაიმი მედიცინის მცოდნე ლამის ერთადერთ კაცად მიიჩნევდა, დანარჩენ კოლეგებს კი არაფრად აგდებდა, ფეხით საჯაროდ თელავდა ავიცენასა (ანუ აბუ ალი იბნ სინასძ და ჰიპოკრატეს ნაშრომებს.

მან გაილაშქრა შუა საუკუნეებში იარების მოწვის ბარბაროსული მეთოდის წინააღმდეგ, როცა მათ მდუღარე ბალზამს ასხამდნენ და სუფთა ტილოს ახვევდნენ „გარეშე მტრებისგან დასაცავად“.

მან პირველმა მოიფიქრა მედიცინაში ქიმიის გამოყენება და სნეულებებს რკინის, ტყვიისა და ვერცხლისწყლის შემცველი პრეპარატებით მკურნალობდა, მათ შორის ამ უკანასკნელს დიდი წარმატებით სიფილისის სამკურნალოდ იყენებდა.

### ეხმარებიან ძმათა ჩვენთა მცირეთა

პაწაწინა კუ ელისონს ფარფლი ზვიგენმა მოაჭამა, მაგრამ გულმოწყალე ადამიანებმა ნახშირბოჭკოვანი ქსოვილისგან ვერტიკალური ფარფლით აღჭურვილი „კოსტიუმი მოარგეს“. მეორე კუს კი, სახელი „ბედნიერა“ სულაც არ უხდება იმის გამო, რომ წინა ფეხები... ენოტმა მოაჭამა, თუმცა მისმა



პატრონმა, ვეტერინარმა რობერტ ჯერებმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ კუს სახელი გაემართლებინა: უკვე რამდენიმე თვეა ბედნიერი კუ ოთახებში საგანგებო პროტეზებით დადის.

ისე კი, ზოგადად, გულმოწყალე ადამიანები ნებისმიერ გასაჭირში ჩავარდნილი ცხოველის დახმარებას ცდილობენ. მაგალითად, ვაცმა ბუნიმ მელიებისთვის დაგებულ ხაფანგში დაკარგა ფეხი, რამაც გული მოუკლა მის პატრონს. მისის ჯონსმა დენვერში პროტეზების მწარმოებელ ფირმას მიაკითხა, ბუნისთვის პროტეზი დაამზადებინა, რისთვისაც შეკვეთის საფასურის ასანაზღაურებლად... ავტომანქანა გაყიდა.

### მამაკაცთა ზრუნვის საგანი

დროდადრო მასმედიაში კამათი იწყება ხოლმე ერთობ უჩვეულო თემაზე: მაინც რამდენი წლისაა აზლუდი? ყველაზე ავტორიტეტულ მკვლევართა აზრით, ქალბატონების ეს დელიკატური საგანი ას წელზე მეტი ხნისაა. საინტერესო მაინც ის არის: მანამდე როგორ იყო საქმე? ეგვიპტელმა ქალბატონებმა აზლუდი საერთოდ არ იცოდნენ, ბერძნები მკერდს ელასტიური სახვევებით ნილბავდნენ, კრიტოსის მკვიდრნი კი პირიქით, მკერდით ქვემ ფართო ბაფთებს იკრავდნენ. გამონაკლისს მხოლოდ მშვენიერი რომაელი ქალები წარმოადგენდნენ, რომლებმაც ტყავის სტროფიუსით (თავისებური აზლუდითძ „მოდაში“ მაღალი მკერდი შემოიღეს.

შემდგომ კი, ვიდრე მე-16 საუკუნემდე, მკერდის ასაწევად ლითონის ჩადგმებიანი კორსეტების „ჯავშნის“ დრო დადგა, რომელიც ზურგზე... შარნირებითა და ქანჩებით იკვრებოდა! თქმა არ უნდა, ქალბატონებისთვის ეს საშინელი დრო იყო, თუმცა ყველაზე მტანჯველი გამოგონება არა ეს, არამედ ესპანეთის



მეფის კარის მოდა გახდა, როცა გოგონებს პატარაობიდანვე მკერდზე ტყვიის ფირფიტებს აკრავდნენ, რათა „ბრტყელი“ მკერდი ჰქონოდათ!

თანამედროვე აზლუდი მე-19 საუკუნის დამლევს გაჩნდა, იგი პარიზელმა მოდელიერმა შარლ ფრედერიკ ვორსმა „გამხდარ ქალატონთა ტანისთვის მომრგვალებული ფორმის მისაცემად“ შექმნა.

ისე, სიტყვამ მოიტანა და, იმასაც აღვნიშნავთ, რომ, როგორც თანამედროვე მოდის მიმდევრებმა იციან, ქალის მკერდსა და, საერთოდაც, მის ჩაცმა-დახურვასა და სილამაზეზე, უფრო მეტად მამაკაცები ზრუნავენ.

**მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**

## ◉ დღის კალენდარი

**20 ოქტომბერი**

**ხსენება ღირსისა მამისა ჩვენისა იოსებ ხუცისა, მოხევისა, საკვირველთმოქმედისა (1763ძ. მოწამეთა სერგისა და ბაკხოსი (290-303ძ; მოწამეთა იულიანე ხუცისა და კესარიოს დიაკონისა (Iძ; მოწამე პელაგია ტარსელისა (290ძ; მოწამე პოლიქრონ ხუცისა (IVძ.**



ამოდის 06.18
ჩადის 17.13



ამოდის 15.39
ჩადის 09.38

### დაიბადნენ:

**1632 – კრისტოფერ რენი,** ინგლისელი არქიტექტორი, მათემატიკოსი და ასტრონომი, გარდაიცვალა 1723 წელს.

**1750 – ალექსანდრე ამილახვარი,** პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1802 წელს.

**1854 – არტურ ჟან ნიკოლა რემბო,** ფრანგი პოეტი. გარდაიცვალა 1891 წელს.

**1780 – პოლინა ბონაპარტი,** ნაპოლეონ ბონაპარტის და. გარდაიცვალა 1825 წელს.

**1851 – ნიკოლოზ ხიზანიშვილი,** მეცნიერი, იურისტი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი. გარდაიცვალა 1906 წელს.

**1898 – ალექსანდრე ქუთათელი,** მწერალი. გარდაიცვალა 1982 წელს.

**1905 – ფრედერიკ დანი,** ამერიკელი მწერალი, გარდაიცვალა 1982 წელს.

**1927 – ნაზი კილასონია,** პოეტი, გარდაიცვალა 1994 წელს.

### მოვლენები:

**1517 წელი** – ფერნანდ მაგელანი სევილიაში ჩავიდა;

**1820 წელი** – კანადასა და აშშ-ს შორის 49-ე პარალელზე საზღვარი დადგინდა;

**1820 წელი** – ესპანეთმა აშშ-ს 5 მილიონ დოლარად ფლორიდის ნაწილი მიჰყიდა;

**1864 წელი** – აშშ-ში ოფიციალურად დამტკიცდა მადლიერების დღესასწაული;

**1945 წელი** – დაარსდა არაბული სახელმწიფოების ლიგა.

**მედიანიუსი**


**ი ყ ი დ ე ბ ა   ს ა ს წ რ ა ფ ო დ !**

**ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ**

საუკეთესო ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი) გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

**აგარაკი ტაბახმელაში**

ულტრათანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 16 93 57.



**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“

99-62-77; 899 32-85-76.


## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +12 – +20 |
| ქუთაისი. | +14 – +24 |
| ბათუმი. | +13 – +22 |
| ზუგდიდი. | +12 – +25 |
| თელავი. | +12 – +20 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7921 ლარი |
| 1 ევრო | – 2.5233 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8765 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9490 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9618 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2359 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2660 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2736 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6986 ლარი |



## ◉ კადრი




**შ ე ვ ი ძ ე ნ**

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს. 855-42-05-82.


## ◉ ანეკდოტები

– საოცრებაა! ნამდვილი საოცრება! ჩვენს სოფელში ყველა ბავშვი მჭედელსა ჰგავს.

– რა არის ამაში გასაოცარი?

– როგორ თუ რა არის... სოფელში ხომ მჭედელი არა გვყავს?

* * *

გამოცანა-შეკითხვა საქართველოში მიმდინარე გაუგებარ ახალმშენებლობებთან დაკავშირებით. ამ მშენებლობებისთვის ბიუჯეტიდან მილში შეედინება 2 მილიარდი ლარი, მილიდან კი გამოედინება ერთი მილიარდი.



კითხვა: დაასახელეთ მილში მსხდომთა გვარები!

* * *

ყველა ქალს ნობელის პრემია უნდა მიენიჭოს საზიზღრისგან სასიამოვნოს მიღების მეთოდის თეორიული განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენებისთვის.

* * *

ივანიჩთან მეზობლის ქალი შევიდა და ონკანის შეკეთება სთხოვა.

– მე რად მთხოვთ? სახლმმართველობის სანტექნიკოსი ვერ გამოიძახეთ?

– ეშმაკსაც წაუღია მაგათი თავი! გამუდმებული სმისგან ყოველი მათგანი გაიმპოტენტდა.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.